ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 24 იანვარი 2006 №14 (2636) ფასი 50 თეთრი


# ჩაჰყოფს უეფა განვლილში ხელს?

## ჟან-ჟაკ ეიდელის სკანდალურმა ინტერვიუმ მთელი ევროპა აალაპარაკა. ჯერ მხოლოდ აალაპარაკა...




ვისია ცამეტის წლის წინ „მარსელის“ მოგებული ჩემპიონთა თასი, „მარსელის“ თუ „მილანის“? საფეხბურთო ევროპა უკვე სამი დღეა, ამ საკითხს არჩევს. მართალია, გარჩევა ჯერჯერობით ოფიციალური არ არის, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, უახლოეს ხანს მრისხანე სახე მიეცეს და, შესაბამისად, ის არგუმენტები თუ კონტრარგუმენტები, ყოფილი ფეხბურთელის ჟან-ჟაკ ეიდელის „ეკიპისთვის“ მიცემულ სკანდალურ ინტერვიუს რომ მოჰყვა, სხვა ძალასა და ჟღერადობას მიიღებს. მანამდე კი, დღევანდელ მეექვსე გვერდზე თქვენ იხილავთ „მარსელის“ ცამეტი წლის წინანდელი პრეზიდენტის ბერნარ ტაპის, გერმანელი ვარსკვლავის რუდი ფიოლერის, „მილანის“ მაშინდელი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს და სხვათა კომენტარებს. რაც შეეხება შეკითხვას, შეიძლება კი, მთელი გუნდი დარაზმო და ნემსი გაუკეთო, დროებით უპასუხოდ დაგვრჩება.

# 81!!!




AFP ლოს ანჯელესი



## დინამომ და ბათუმმა ბრაზილიელები შეიწყვილეს

## ანდრეი დილომსკი: პრივეტ, რებიატა

# დინამოში სტუმრიანობაა

## რუსი მწვრთნელები და ბრაზილიელი ფეხბურთელები



„დინამოს“ ხელმძღვანელობა და ანდრეი ჩერნიშოვი პირობებზე შეთანხმდნენ

**ახალი** ამბავი თბილისის „დინამოდან“: გუშინ დილმის ბაზაზე გუნდთან ერთად ორმა ბრაზილიელმა ივარჯიშა — 21 წლის ჟუან გომეშ ვიეირამ, რომელიც თბილისში „ატლეტიკო მინეიროდან“ ჩამოვიდა და 25 წლის ჟოსიმარ ლუიშ დომინგო ამბროზიომ „კურიტიბადან“.

ეს ფეხბურთელები თბილისში გუშინ, უკვე „ბათუმში“ მყოფ კიდევ ორ ბრაზილიელთან ერთად ჩამოფრინდნენ, ცოტა ხანს დაისვენეს და საღამოს უკვე დინამოელებს შეუერთდნენ.

ვიეირაც და ამბროზიოც ნახევარმცველები არიან, ერთი მარცხნიდან თამაშობს, მეორე — მარჯვნიდან. რა დონის ფეხბურთელები არიან ეს ბრაზილიელები, ჯერ ვერ გეტყვით. ისინი „დინამოში“ გასინჯვაზე არიან და გუნდთან ერთად კვიპროსულ შეკრებამდე, ანუ თვის ბოლომდე დარჩებიან. თუმცა შესაძლოა, „დინამომ“ ვიეირა და ამბროზიო კვიპროსზეც გაიყოლოს და იქაც დააკვირდეს.

ამასობაში კი, „დინამოს“ სამოსი მოირგო ანდრეი ჩერნიშოვმა და გუშინ მან გუნდი ორჯერ ავარჯიშა. ჩერნიშოვს კლუბთან კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია, მაგრამ საქმეს უკვე შეუდგა და არც ხელმოწერა უნდა დაგვიანდეს — ეს ამბავი ყოველდღეა მოსალოდნელი.

მოკლედ, მოსკოვიდან ორიოდ დღის დაბრუნებულ „დინამოს“ ახლა უკვე ერთბაშად ხუთი სტუმარი ჰყავს: მწვრთნელი, მისი ორი თანაშემწე და ორიც ბრაზილიელი ფეხბურთელი.

შეგახსენებთ, თბილისის „დინამოში“ აქამდე სამ ბრაზილიელს უთამაშია. იოჰან ბოსკამპის მწვრთნელობისას — ტლანქ თავდამსხმელ დე სოუზას, ივო შუშკისა და გია გეგუჩაძის დროს კი — უსწრაფეს კარლოსსა და დიდი არაფრით გამორჩეულ რომეროს.

ვნახოთ, რით გამოირჩევიან ვიეირა და ამბროზიო. ისე, ნაცნობი სახელები კი ჰქვიათ...

**კობა ინასარიძე**

# კოლხები და თურქები

## ფოთში ბეშიქთაშის სპონსორი ჩამოსულაო

**ფოთის** „კოლხეთში“ თურქული „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი სპონსორის მისვლაზე სამი-ოთხი თვის წინ ლაპარაკობდნენ. გუშინ კი „კოლხეთის“ თავკაცმა სოსო ფილიამ გვითხრა, თურქები უკვე ფოთში არიან, ხვალ კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდებიან და, მგონი, საქმეს კარგი პირი უჩანსო.

სანამ მოლაპარაკება არ შედგება, მოდით, ჩვენც ნუ ვიმარჩიელებთ. ამიტომაც „კოლხეთის“ დღევანდელობაზე ვთქვათ: ზღვისპირელებმა ოზურგეთის „მერცხალთან“ ტესტ-მატჩი გასასინჯი ფეხბურთელებით ჩაატარეს და 2:2 ითამაშეს, ფილიას კი თითქმის ყველა მათგანი დაუთხოვია გუნდიდან.

„ხვალ ლანჩხუთში „ბათუმს“ ვეთამაშებით. მზადების პირველ ეტაპს ფოთში 29 იანვარს დავასრულებთ, მერე კი ირკვირიან შეკრებას ურეკში გავივლით. თავიდან 45 ფეხბურთელს ვაკვირდებოდით და ნელ-ნელა სია გავცხრილეთ, ორი მათგანის დამატებაზე კი ჯერაც ვფიქრობთ: ერთი ბათუმელი



სოსო ფილია

მურვანიძეა, მეორე კი უკრაინის ერთ-ერთ გუნდში ნათამაშევი ახალგაზრდა ასათიანი. მათ გარდა, შევსება მხოლოდ ჩვენი ფარმ-კლუბიდან გვექნება. მარცხენა ფლანგზე, დაცვაშიც და ნახევარდაცვაშიც, გვიჭირს, პირველ რიგში სწორედ ამ პოზიციის ფეხბურთელს დავიმატებთ“ — გვითხრა სოსო ფილიამ.

გეცოდინებათ, პირველი წრის შემდეგ „კოლხეთი“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილმა დატოვა, დანარჩენი ფეხბურთელები კი ადგილზე არიან. ფოთელებს უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრებათ, მაგრამ ფილიას თქმით, მალე ცხრილის შუაში ყოფნასაც ვერ შეეგუებიან.

„სამწლიანი პროგრამა გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალზე ვფიქრობთ და შედეგს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, თუმცა შესაძლოა, სამი წელი არც დაგვჭირდეს: პირველ წრეში „კოლხეთმა“ ისე კარგად ითამაშა, თავადაც არ ველოდი. ასე რომ, პროგრესი დაჩქარდება, თანაც თუ ფინანსურადაც უფრო მოვმძლავრდებით“ — იმედიანადაა ფილია და ვნახოთ, რას მოილაპარაკებენ თურქები და ფოთელები.

**ილია ნანობაშვილი**

# აშვეთიას პლანეტ-ვარიანტი: სატურნი

მიხეილ აშვეთია ისევ უკლუბოდაა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა, ვალერი ფილატოვმა ამასწინათ განაცხადა, ქართველისთვის ახალ გუნდს ვეძებთო.

სავარაუდოდ, აშვეთია წლეულსაც რუსეთის პრემიერლიგაში იბურთავებს, ყველაზე რეალური ვარიანტი კი „სატურნია“, რომელთანაც თავად ფეხბურთელი აწარმოებს მოლაპარაკებებს. გარდა ამისა, არც იაროსლავლის „შინიკი“ გამორიცხულა.

როგორც შევიტყვეთ, ამ ორი კლუბის გარდა, აშვეთიას სხვა რუსულ გუნდებში გადასვლის შანსიც აქვს და წესით, ყველფერი ამ კვირაში უნდა გადაწყდეს.

**ლუკა თალაკვაძე**



ქართველების ბედი ანდრეას ჰერცოგისა და შტეფან შაპუიზას ხელშიცაა

# ჩვენი იმედის მონტრო

## ფიჯი, ტაილანდი, მაკაო... საქართველოს იქაც ნახავენ

**პარასკევს** შვეიცარიულ მონტროში, რომელიც ჟენევის ტბის პირას მდებარეობს, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართება. საქართველოსთვის რიგით მეოთხე და, ალბათ, ადრინდელთაგან გამორჩეულიც. გამორჩეული, რადგანაც ახლა უფრო იმედიანად ვართ და გულის სიღრმეში ვფიქრობთ, ეგებ ახალი მწვრთნელის ხელში მაინც მოიძებნოს ავსტრია-შვეიცარიაში საქართველოს ნაკრების ადგილი...

მონტროს კონგრეს-ცენტრში კენჭისყრის ცერემონიალს, ჩვენი დროით სამ საათზე რომ დაიწყება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენმდივანი უჩა უგულავა და ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი დაესწრებიან. ახალკაცი და ტოპმიოლერი მონტროში გერმანიიდან ჩავლენ, უგულავა კი მათ თბილისიდან შეუერთდება.

უეფას ცნობით, 27 იანვრის კენჭისყრა წინა ცერემონიალებთან შედარებით უფრო შთამბეჭდავი და წარმომადგენლობითი იქნება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ევროპის ქვეყნების გარდა — ნუ გაიკვირვებთ — ჩინეთი, ფიჯი, ტაილანდი, მაკაო და მალაიზიაც გაასცემს.

მონტროში 40 ქვეყნის 300 მწერალი ჟურნალისტი და 62 ტელეკომპანიაა აკრედიტებული. სალამოს ერთ-ერთი შვეიცარიული არხის პოპულარული წამყვანი ჟაკ დეშანუ გაუძღვება. უშუალოდ კენჭისყრის პროცედურისას კი, რომელიც 16 წუთს გასტანს, უეფას დირექტორ-განმკარგულებელ ლარს-კრისტერ ოლსონს შვეიცარიის და ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციათა შეფები, რალფ ზლოცოვერი და ფრიდრიხ შტიკლერი, ასევე ამ ქვეყნების პოპულარული ფეხბურთელები, შტეფან შაპუიზა და ანდრეას ჰერცოგი დაეხმარებიან.

კენჭისყრის ცერემონიალზე უჩვეულოდ ბევრი, 700-მდე სტუმარია მიპატიჟებული. ტრადიციულად, მიწვეულნი არიან მონაწილე ქვეყნების მწვრთნელებიც — ოლეგ ბლოხინი, სვენ გორან ერიკსონი, კარელ ბრუკნერი, ლუის არაგონესი, რაიმონ დომენეკი, იურგენ კლინსმანი, ზლატკო კრანჩარი, კობი კუნი, ოტო რეჰაგელი, ლუიშ ფელიპე სკოლარი, მარკო ვან ბასტენი, როი ჰოჯსონი, ლარს ლაგერბეკი...

შეგახსენებთ, კენჭისყრაში 50 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, შედგება ექვსი შვიდგუნდიანი და ერთიც რვაგუნდიანი ჯგუფი. ავსტრია და შვეიცარია, როგორც მასპინძლები, შესარჩევ ეტაპზე არ ითამაშებენ. საქართველო კი მეექვსე კალათაშია განთესილი.

**კობა ინასარიძე**

### ჰოლანდია

II დივიზიონი. XXVI ტური

ეინდჰოვენი 2:1 გრააფსხაპი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIII ტური

ბასტია 1:0 ვალანსიენი

### იტალია

სერია B. XXV ტური

ჩეზენა 2:0 მანტოვა

არეცო 0:0 კატანია

სერია C1/B. XX ტური

ფოჯა 1:1 მარტინა

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XVIII ტური

ბრაუნშვაიგი : კოტბუსი გადაიდო

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXIII ტური

ვესტ ჰემი 2:1 ფულემი

### ამხანაგური მატჩი

იორდანია 0:0 შვედეთი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XIX ტური

ლეირია : ბელენენსეში

გვიან გაიმართა

# ხვალ კონტრაქტის დღეა?

## ტრონდ სოლიედი: პირველში ჯერ არა, მეორეში ვნახოთ...



„ზღაპარში ვარ, ღამით სანამ დავიძინებდი, ოთახში გაკრულ რივალდოს პლაკატებს ვათვალიერებდი და ვოცნებობდი, მასთან როდესმე მეთამაშა. ერთი ოცნება ავიხდინე, გზა გავიკაფე და ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო" — გვითხრა გუშინ გიორგი ფოფხაძემ, ვინც, მისივე თქმით, ხვალ ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან" კონტრაქტს აფორმებს. თუმცა...

ამავე გვერდში „ოლიმპიაკოსის" თავკაც ტრონდ სოლიედთან ინტერვიუდან სხვა რამეს შეიტყობთ: მწვრთნელი ძალიან თავშეკავებულია და რა ხდება სინამდვილეში?

ვნახოთ, ალილო და ხვალეო...

სანამ გიორგისთან დავრეკავდით, „ოლიმპიაკოსის" ვებგვერდზეც შევიხედეთ და ასეთი ინფორმაცია აღმოვაჩინეთ: „ხუთი გასასინჯი ფეხბურთელიდან ყველაზე კარგად ქართველი გიორგი ფოფხაძე გამოიყურება, მას მწვრთნელი ტრონდ სოლიედიც ემადლიერება. ფოფხაძემ „ოლიმპიაკოსის" ორმხრივ მატჩში ითამაშა და შემადგენლობების მიხედვით, ტრონდ სოლიედმა იგი ძირითადებში გაამწესა".

ამასობაში, ფოფხაძის ან უკვე ყოფილმა კლუბმა „თბილისმა" ფეხბურთელის გათავისუფლების ფურცელი გააგზავნა საბერძნეთში...



*18 წლის გიორგი ფოფხაძის ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" შესაძლო ტრანსფერზე ჯერ კიდევ შარშან ვწერდით, ახლა კი სადაცაა, გადაწყდება მისი ამ კლუბში ჩარიცხვის საკითხი. ჩვენი ბერძენი კოლეგის, ლარი სუსკასის დახმარებით, გუშინ „ოლიმპიაკოსის" ნორვეგიელ თავკაც* **ტრონდ სოლიედს** *დავუკავშირდით და ფოფხაძეზე დავეკითხეთ...*

**— რამდენად ახლოსაა გიორგი ფოფხაძე „ოლიმპიაკოსში" ჩარიცხვასთან?**

— თუ ფოფხაძეს ავიყვანთ, მხოლოდ „ოლიმპიაკოსის" მეორე გუნდში.

**— როდის გადაწყდება ეს?**

— რამდენიმე დღეში, ჩვენ მას კიდევ დავაკვირდებით.

**— და რა შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე ფოფხაძე?**

— მონდომებულია, ვფიქრობ, ფეხბურთელისთვის საჭირო ხასიათი აქვს, მაგრამ ამ დროისთვის „ოლიმპიაკოსის" პირველ გუნდში სათამაშოდ მზად არ არის.

**— მაგრამ არ გამორიცხავთ, რომ მომავალში „ოლიმპიაკოსის" პირველ გუნდში ითამაშოს?**

— იგი არაევროკავშირელია და ასეთი ფეხბურთელების გუნდში ყოლა ჩვენთან ლიმიტირებულია. მოკლედ, ახლა მისი პირველ გუნდში აყვანა ამ მიზეზითაც ვერ ხერხდება.

**— ფოფხაძე მეორე გუნდში ვარჯიშობს?**

— არა, ის პირველ გუნდში ვარჯიშობს და აქვს შანსი, მეორე გუნდში მოხვდეს.

**— ვარჯიშების გარდა ის ტესტ-მატჩშიც გამოსცადეთ...**

— დიახ, მან მეორე გუნდში ითამაშა.

**— და თავი გამოიჩინა?**

— როგორ გითხრათ, ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

**დავით თაგართქილაძე**

## გიორგი ფოფხაძე: საათებიც და, ოლიმპიაკოსელი ვარ

— ხვალ კონტრაქტს გადავხედავთ და ზეგ ხელს მოვაწერ. გადაწყვეტილია, რომ „ოლიმპიაკოსში" ვრჩები. მწვრთნელი ტრონდ სოლიედი უკვე ესაუბრა კლუბის პრეზიდენტს და უთხრა, ეს მოთამაშე აუცილებლად გვჭირდებაო.

**— როგორც გავიგეთ, არაევროკავშირელთა ლიმიტი ყოფილა პრობლემა. საბერძნეთში კლუბს ხუთ არაევროკავშირელზე მეტის ყოლის უფლება არა აქვს, შენ კი მეექვსე ყოფილხარ...**

— ასეა, მაგრამ არანაირი პრობლემა არ შემექმნება. უბრალოდ, ერთი თვე ვერ ვითამაშებ, რადგან ამ პერიოდში კონტრაქტი უშუალოდ ჩემსა და „ოლიმპიაკოსს" შორის გაფორმდება და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენილ განაცხადში ჩემი გვარი არ იქნება შეტანილი. ერთ თვეში კი სამწლიან ოფიციალურ კონტრაქტს გავაფორმებ. აქ ასეთი რამ დაშვებულია, ყველა პუნქტი აგვიხსნეს. ისე, „ოლიმპიაკოსი" არც აპირებდა მეექვსე არაევროკავშირელის აყვანას, მაგრამ მწვრთნელს ძალიან მოვეწონე. თანაც არავითარი დუბლები, ძირითადი გუნდის წევრი ვიქნები.

**— რამდენიმე თვის წინ, ალბათ, ვერც იოცნებებდი „ოლიმპიაკოსში" მოხვედრაზე. მაინც გამოუცდელი ფეხბურთელი ხარ და არ გაგიჭირდა ახალ გარემოსთან, დიდ დატვირთვებთან შეგუება?**

— თავიდან მართლაც გამიჭირდა. წარმოიდგინეთ, საქართველოში ექვს კილომეტრს დავრბოდი, „ოლიმპიაკოსში" კი 18 კილომეტრი ვირბინე. საოცრად დავიღალე, ღამე ძილსაც ვერ ვახერხებდი, თანაც მაინც ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, მოვეწონებოდი ბერძნებს თუ არა. თანდათან შევეჩვიე ვარჯიშებს და ჩემს თავს ვეკითხებოდი, სხვა თუ უძლებს, მე რატომ ვერ უნდა გავუძლო-მეთქი.

**— გუნდში როგორ მიგიღეს? ახალ ფეხბურთელს ხშირად ზემოდან უყურებენ...**

— ძალიან თბილად მიმიღეს. „ოლიმპიაკოსში" სომეხი ჟორა ოგანესიანი თამაშობს. მას დავუმეგობრდი და ბევრი რჩევა მომცა. შინაურულად ვგრძნობ თავს, შეკრული და მეგობრული ბიჭები არიან.

**— რივალდო, ალბათ, სხვა თემაა. რას გრძნობ, მასთან ერთად რომ ვარჯიშობ?**

— ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ რივალდო ჩემი საყვარელი ფეხბურთელია. ძალიან უშუალო პიროვნებაა, თავმდაბალია, ტიპიური ბრაზილიელია. კალაძეზეც მელაპარაკა, „მილანში" დაფასებული კაცია და მასთან ვმეგობრობდიო. რივალდო რჩევებს არ მამადლის, ისე იგრძენი თავი, როგორც ქართულ კლუბშიო.

**— როგორ ფორმაშია რივალდო, ასაკი არ შეეპარა?**

— ამას წინათ „ოლიმპიაკოს" — „პანათინაიკოსის" თამაშს ვუყურე. რივალდომ ისეთი გოლები გაიტანა და ისეთი ფინტები ჩაატარა, „ბარსელონას" დროინდელ რივალდოსგან ვერ გაანსხვავებდით. ისევ ძველებურად დაფრინავს...

**— ბერძენი გულშემატკივრების გიჟმაჟობის ამბავი ყველამ იცის, მაგრამ ცოცხლად დანახული მაინც სხვაა...**

— „ოლიმპიაკოსი" ამ გიჟმაჟებშიც გამორჩეულია, ყველაზე მაგარი ფანები ჰყავს. რივალდოს „პანათინაიკოსთან" გატანილი ორივე გოლისას ისეთი ამბები დაატრიალეს, ვერ გადმოვცემ. მგონი, ფეხბურთის თამაში რომც არ შეგეძლოს, მაინც აგათამაშებენ.

**— „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი ტრონდ სოლიედი როგორ გეპყრობა, შენიშვნებს ხშირად გაძლევს?**

— ძალიან წყნარი კაცია, ვარჯიშებზე სულ ჩუმადაა. თავიდან მიკვირდა კიდეც და ანდრო ნინიადისს ვკითხე, რატომ არაფერს გვეუბნება-მეთქი. ანდრომ ამიხსნა, ყველას აკვირდება, შენი ერთი მოქმედებაც კი არ გამოეპარვია და ძალიან მოსწონხარო. მხოლოდ ერთხელ მომცა შენიშვნა სოლიედმა, მარცხენა მცველი ხარ და საკუთარ ნახევარზე კაცის მოტყუებას მოერიდე, ცენტრს რომ გადახვალ, მერე შეძლებისდაგვარად მოიქეციო. დავუჯერე, მას შემდეგ რისკზე აღარ წავსულვარ და შევატყვე, სოლიედსაც ესიამოვნა.

**— „ოლიმპიაკოსში" შენს პოზიციაზე ვინ თამაშობს?**

— თურქი ბულუტი და გეორგატოსი. ეს ის გეორგატოსია, „ინტერშიც" რომ იყო, ახლა კი ასაკშია და თითქმის აღარ ათამაშებენ. ამბობენ, სეზონის ბოლოს გეორგატოსი კარიერას ასრულებსო. ასე რომ, ბულუტია მთავარი კონკურენტი.

**— ბულუტი იმდენად მყარად ზის ძირითადში, რომ ჯერ კონკურენციას ვერ გაუწევ?**

— არა, რატომ?! ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

**— „ოლიმპიაკოსის" ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებში მოხვედრის ამბიცია არ გქონდეს, არ შეიძლება...**

— რა თქმა უნდა, წელან რივალდოსთან თამაშის ოცნება რომ ვახსენე, მეორე ოცნება სწორედ საქართველოს ნაკრებია, მესამე ოცნება კი — მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე თამაში...

**ილია ნანოგაშვილი**

## თქვენი ინტერვიუ
## კლაუს ტოპმიოლერთან

*თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



# კუნთი თუ წუნი?

## დინამომ მარცვალაძე არ ათამაშა



კიევის „დინამომ“ გუშინ აბუდაბურ შეკრებაზე მესამე ტესტმატჩი ჩაატარა და შვეიცარიის „ციურიხს“ 2:0 მოუგო, თუმცა ოთარ მარცვალაძეს არ უთამაშია. მიზეზი? თავად მარცვალაძეს ვერანაირად ვერ დავუკავშირდებოდით, რადგან ნამატჩევსვე კიევის „დინამომ“ ბარგი ჩაალაგა და თვითმფრინავში ჩაჯდა.

როგორც გავიგეთ, ჯერ კიდევ კიევში ჩასვლამდე ოთარს მარჯვენა ფეხის კუნთი სტკივებია და, შესაძლოა, გაუმიზეზდა, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით.

ისე, ცოტა უცნაურია, კიეველთა მთავარ მწვრთნელ ანატოლი დემიანენკოს გასასინჯი ფეხბურთელი, უმიზეზოდ არ ეთამაშებინა. მით უმეტეს, მარცვალაძის გარდა, აბუდაბიში მყოფმა ყველა დინამოელმა იბურთავა.

**ილია ნანობაშვილი**

# ბათუმი და უცნობი ბრაზილიელები

## ჟეან ტიაგო და სილვა და ტიაგო ჟენეირო ჩამოვიდნენ

გუშინ საღამოს „ბათუმში“ ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჩავიდა. მათი სახელ-გვარი, ცხადია, ვერაფერს გვეუბნება, მაგრამ ჩვენი რა მიდის, ვთქვათ: თავდამსხმელი ტიაგო ჟენეირო 21 წლისაა და კლუბ „სან ფიკონეზეში“ თამაშობდა, 22 წლის ნახევარმცველი ჟეან ტიაგო და სილვა კი „მოლიოტონში“.

„ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ ზუსტად ვერ გვითხრა, როდის ჩაატარებენ ბრაზილიელები გუნდში პირველ ვარჯიშს: „ისინი გვიან საღამოს თბილისიდან ჩამოვლენ ბათუმში, დაღლილები იქნებიან და, ბუნებრივია, ამიტომ ფოთის „კოლხეთთან“ ამხანაგურ მატჩშიც ვერ ვათამაშებთ. სავარაუდოდ, სამხრეთამერიკელები 25 იანვარს ივარჯიშებენ გუნდთან პირველად“.

გაბელიამ ასევე გვაცნობა, რომ დღეს-ხვალ „ბათუმს“ შეუერთდება თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდი ვლადიმერ დვალიშვილი — მისი დამატების საკითხი გადაწყვეტილიაო.

აქვე შეგახსენებთ, რომ ზღვისპირელებმა სამი დღის წინაც ითამაშეს ფოთის „კოლხეთთან“ და 1:7 კი წააგეს, მაგრამ გაბელიამ იმ მატჩში გასასინჯი ფეხბურთელები ათამაშა და მათთვის ნამატჩევსვე მიუხურავს გუნდის კარი...

**ილია ნანობაშვილი**

# ახალკაცმა აზერბაიჯანს უკრაინასთან უამხანაგა

## ხუთქართველა ტესტი თურქეთში



რომან ახალკაცი (მარცხნივ)

თურქულ კურორტ ბელეკში დაბინავებულმა ოდესის „ჩერნომორეცმა“ აზერბაიჯანულ „კარვანთან“ ტესტ-მატჩში 2:2 ითამაშა, ოდესელთა ერთი გოლი კი ილია კანდელაკის პასით გავიდა. თუმცა ჩვენთვის საინტერესო უფრო ისაა, რომ ამ მატჩში კანდელაკის გარდა კიდევ სამმა ქართველმა ითამაშა, რომელთაგან ერთის ასავალ-დასავალი ბოლო დროს არ ვიცოდით — „კარვანში“ გამოჩნდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი ფეხბურთელი რომან ახალკაცი, ვინც წინა სეზონი რკინიგზელთა დუბლებში გაატარა და ერთხანს ნალჩიკის „სპარტაკშიც“ იყო გასინჯვებზე.

ახალკაცის „კარვანში“ ჩარიცხვის ამბავი ჯერ არ გადაწყვეტილა, მის გარდა კი აზერბაიჯანის ჩემპიონატის ლიდერში კიდევ ორმა ქართველმა, მცველმა ლექსო ინწკირველმა და აზერბაიჯანის მოქალაქე გოჩა ტრაპაიძემ ითამაშეს. რაც შეეხება „ჩერნომორეცს“, მწვრთნელმა სიმონ ალტმანმა ორი შემადგენლობა გამოსცადა და კანდელაკიც და ზღვისპირელთა ახალწვეული კახა მჟავანაძეც ძირითადში იყვნენ.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს 17 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## კალენდარი

### მეორე წრე



*საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო სამსახურის უფროს ნოდარ კაკულიას შედგენილი აქვს, მაგრამ ტურების თარიღების საბოლოო დაზუსტება საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალდანიშნულ მწვრთნელთან, კლაუს ტოპმიოლერთან შეთანხმების შემდეგ სურს.*

*კალენდრის ამჟამინდელი ვერსიით დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები 18 თებერვალს და 8 მარტსაა დანიშნული, საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე უმაღლეს ლიგაში 22 თებერვალს, პირველ ლიგაში კი 1 მარტს დაიწყება.*

*კალენდარში განსაკუთრებული ცვლილებები შეიძლება არც მოხდეს, მაგრამ ეროვნული ნაკრების ინტერესებს და მისი თავკაცის აზრს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურები, წესისამებრ, აუცილებლად გაითვალისწინებენ.*

***პროფლიგის პრესსამსახური***

## მეორე წრე

**XVI ტური**

სპარტაკი – დილა
ბორჯომი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი
ცხინვალი – სოხუმი
დინამო – კახეთი
ზესტაფონი – თბილისი
ამერი – ტორპედო
სიონი – ლოკომოტივი

**XVII ტური**

კახეთი – ცხინვალი
სოხუმი – ვიტ ჯორჯია
კოლხეთი – ბორჯომი
ბათუმი – სპარტაკი
დილა – სიონი
ლოკომოტივი – ტორპედო
თბილისი – დინამო
ზესტაფონი – ამერი

**XVIII ტური**

ბორჯომი – სოხუმი
ამერი – ლოკომოტივი
ტორპედო – დილა
სიონი – ბათუმი
სპარტაკი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – კახეთი
დინამო – ზესტაფონი
ცხინვალი – თბილისი

**XIX ტური**

სოხუმი – სპარტაკი
ზესტაფონი – ცხინვალი
დინამო – ამერი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
კახეთი – ბორჯომი
კოლხეთი – სიონი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ლოკომოტივი

**XX ტური**

სიონი – სოხუმი
ამერი – დილა
ლოკომოტივი – ბათუმი
ტორპედო – კოლხეთი
სპარტაკი – კახეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
ცხინვალი – დინამო
ბორჯომი – თბილისი

**XXI ტური**

თბილისი – სპარტაკი
ცხინვალი – ამერი
ზესტაფონი – ბორჯომი
კახეთი – სიონი
სოხუმი – ტორპედო
ბათუმი – დილა
დინამო – ვიტ ჯორჯია
კოლხეთი – ლოკომოტივი

**XXII ტური**

ბორჯომი – დინამო
ამერი – ბათუმი
დილა – კოლხეთი
სოხუმი – ლოკომოტივი
ტორპედო – კახეთი
სპარტაკი – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – ცხინვალი
სიონი – თბილისი

**XXIII ტური**

ვიტ ჯორჯია – ამერი
ცხინვალი – ბორჯომი
ზესტაფონი – სიონი
თბილისი – ტორპედო
სოხუმი – დილა
კოლხეთი – ბათუმი
დინამო – სპარტაკი
კახეთი – ლოკომოტივი

**XXIV ტური**

ბათუმი – სოხუმი
ამერი – კოლხეთი
დილა – კახეთი
ლოკომოტივი – თბილისი
ტორპედო – ზესტაფონი
სპარტაკი – ცხინვალი
სიონი – დინამო
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია

**XXV ტური**

ბორჯომი – ამერი
თბილისი – დილა
კახეთი – ბათუმი
სოხუმი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – სპარტაკი
დინამო – ტორპედო
ცხინვალი – სიონი
ზესტაფონი – ლოკომოტივი

**XXVI ტური**

ამერი – სოხუმი
კოლხეთი – კახეთი
დილა – ზესტაფონი
ლოკომოტივი – დინამო
ტორპედო – ცხინვალი
სიონი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ბორჯომი
ბათუმი – თბილისი

**XXVII ტური**

სპარტაკი – ამერი
ბორჯომი – სიონი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო
ზესტაფონი – ბათუმი
თბილისი – კოლხეთი
დინამო – დილა
ცხინვალი – ლოკომოტივი
კახეთი – სოხუმი

**XXVIII ტური**

ამერი – კახეთი
სოხუმი – თბილისი
კოლხეთი – ზესტაფონი
ბათუმი – დინამო
დილა – ცხინვალი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ბორჯომი
სიონი – სპარტაკი

**XXIX ტური**

სიონი – ამერი
სპარტაკი – ტორპედო
ბორჯომი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – დილა
ცხინვალი – ბათუმი
დინამო – კოლხეთი
თბილისი – კახეთი
ზესტაფონი – სოხუმი

**XXX ტური**

ამერი – თბილისი
კოლხეთი – ცხინვალი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – ბორჯომი
ტორპედო – სიონი
კახეთი – ზესტაფონი
სოხუმი – დინამო
ლოკომოტივი – სპარტაკი



# წარმოუდგენელი რისკი ანუ ალკმაარი

## ტოპმიოლერს ყველაზე მეტად საბერძნეთი მოეწონა

*შოთა არველაძემ წლეულს პირველი გოლი გაიტანა „ალკმაარში“ — მანამდე ერედივიზიონის ზედიზედ სამ შეხვედრაში უგოლოდ დაშვრა. არველაძეს ჰოლანდიურის გარდა საქართველოს ნაკრებზეც ვესაუბრეთ...*

— ზედიზედ სამი მატჩი უგოლოდ ჩაატარე და ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ახლა მეორე-მესამე ადგილებს იყოფ ფეიენოორდელ დირკ კუიტთან...

— წინა ტურში „დენ ჰაგს“ 3:1 კი მოვუგეთ, მაგრამ მეხუთე წუთზე კაცნაკლულნი დავრჩით და ამ თამაშმა ძალიან დიდი ჯანი წაგვართვა. საგოლე პასი და მონადირებული პენალტი — ასეთი იყო ჩემი მონაგარი. „დენ ჰაგის“ წინ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვითამაშეთ და ასეთ მოედანზე თამაში მართლაც არ მეხერხება, იქამდე კი „ფეიენოორდთან“ წავაგეთ 0:2, ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ არ გაგვიმართლა. რაც შეეხება ბოლო თამაშს „გრონინგენთან“, თავურით შევაგდე დასწრებაზე.

— ლიდერ პსვ-ს სამი ქულით ჩამორჩებით, თუმც ბევრს მიაჩნია, რომ პსვ „ალკმაარსაც“ და დანარჩენ ჰოლანდიურ გუნდებსაც მნიშვნელოვნად აღემატება კლასით...

— ისე ნაღდად არ არის, როგორც გერმანიაში — ჯერ „ბაიერნი“ და მერე დანარჩენები. პსვ „ალკმაარს“ გამოცდილებით თუ აღემატება და არა კლასით. ეინდჰოვენელებს მართლაც ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ, თანაც პსვ დაცვით ფეხბურთს თამაშობს, ანუ ფრთხილობს, ჩვენ კი წარმოუდგენლად შემტევს და რისკიანს.

— ერედივიზიონის ბომბარდირებში იან-კლაას ჰუნტელაარი დაწინაურდა, ვინც ახალი წლიდან „ჰერენვენიდან“ „აიაქსში“ გადავიდა და ეს მას ალბათ უპირატესობას აძლევს, რათა კიდევ უფრო მეტი გაიტანოს...

— კარგი თავდამსხმელი ყველგან გაიტანს გოლებს, მაგრამ „აიაქსში“ ჰუნტელაარს ამის მართლაც მეტი საშუალება ექნება. საგოლე პასებში მესამე ადგილზე ვარ და მას ვუსწრებ, კუიტს კი ორით ჩამოვრჩები — ცხრა საგოლე გადაცემა და ოთხი მონადირებული პენალტი დამიგროვდა.

— ერედივიზიონის ბომბარდირებში ლიდერთა შორის ხარ და „ალკმაარში“ 11-მეტრიანების შესრულებას რატომ არ განდობენ?

— დენი ლანძაატს, მგონი, 50 პენალტი აქვს შეგდებული ზედიზედ და ამიტომ. თანაც 11-მეტრიანებს თითქმის სულ მაშინ ვურტყამთ ხოლმე, როცა ანგარიში 0:0-ია.

— ქართულზეც ვთქვათ — როგორ ფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერის ხელში დიდი პროგრესი გველის? ჩვენი ნაკრები ბევრად უკეთეს ფეხბურთს ითამაშებს?

— დარწმუნებული ვარ, ტოპმიოლერის ხელში გუნდი გუნდს დაემსგავსება. ტოპმიოლერმა წინა შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების თამაშები ნახა ფირზე და ყველაზე უფრო საბერძნეთთან საშინაო მატჩი მოეწონა. მოკლედ, ალენ ჟირესსაც არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება. უკეთეს ფეხბურთს კი იქიდან გამომდინარე ითამაშებ, თუ რამდენად დალაგებული და ორგანიზებულია გუნდი.

**დავით თამართქილაძე**

## ქართველები უცხოეთში

# ქართველებმა ევროპას ერთხმად შეუტიეს

***შოთა არველაძემ რამდენიმეტურიანი უქმობა დაასრულა და კვლავ გაიტანა.*** ესაა, ჩვენებურის გოლმა „ალკმაარს“ ოდენ ქულა მოუტანა — „გრონინგენმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ერედივიზიონის ერთ-ერთ ლიდერს. შოთამ თავისი მე-14 გოლი შეაგდო ამ სეზონში და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილს იყოფს ფეიენოორდელ დირკ კუიტთან, ლიდერი კი აწ აიაქსელი იან-კლაას ჰუნტელაარია 17 ბურთით.

***საერთოდ უქულოდ დარჩა გოგა გახოკიძის „ტვენტე“,*** თუმცა ქართველმა ნახევარმცველმა ძალიან მაღალ დონეზე ითამაშა. ენსხედელები ბოლო წუთამდე უგებდნენ ამსტერდამის „აიაქსს“, მაგრამ მოახერხეს და, ორი გოლი გაუშვეს — საბოლოოდ 2:3 და მეცამეტე ადგილი სატურნირო ცხრილში.

გახოკიძეს გოლი არ გაუტანია, მაგრამ საგოლე პასი გააკეთა, მასპინძელთაგან ყველაზე აქტიური იყო და ერთხელ ძელსაც გაარტყა ბურთი.

***ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ზურაბ ხიზანიშვილმა.*** „ბლექბერნმა“ სტუმრად „ნიუკასლი“ 1:0 დაამარცხა და პრემიერლიგაში მერვე ადგილამდე აინაცვლა. „ხიზანამ“ სრულად ითამაშა და ნიუკასლელთა ლიდერ ალან შირერს, რომ იტყვიან, ფეხი არ გაანძრევინა.

***განახლებულ მეორე ბუნდესლიგაში ორივე „ქართულმა“ გუნდმა წააგო.*** *ალექსანდრე იაშვილის* „ფრაიბურგმა“ სტუმრად „ბურგჰაუზენთან“ წაიფორხილა (1:2), *დავით სირაძის* აუე-მ კი „ალემანიასთან“ დაყარა ფარ-ხმალი — 1:3.

***სამი ქართული გოლი გაჟღერდა კვიპროსის ჩემპიონატში.*** „ანართოსისმა“ შეცვლაზე შესული *თემურ ქეცბაიას* გოლით სძლია „დიგენისს“, „აშნამ“ კი *ლევან ქებაძის* დახმარებით იმარჯვა — ქართველმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა.

***იტალიაში კახა კალაძის „მილანმა“ შეძლო და, მშრალად შეინახა კარი.*** ამას მილანელებმა „სიენას“ კარში გატანილი სამი ბურთიც მიაშველეს და საბოლოოდ დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა სრულად და საიმედოდ ითამაშა.

**კახა შალამბერიძე**



გოგა გახოკიძემ (მარცხნივ) აიაქსელებს ბევრი პრობლემა შეუქმნა



ლევან ქებაძე დუბლით გამოირჩა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | სიენა 3:0 | 90 | | 13 | 1 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 1:2 | 90 | | 17 | 1 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| დავით სირაძე | აუე | ს | ალემანია 1:3 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 13 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ნიუკასლი 1:0 | 90 | | 16 | 0 | 8 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | გრონინგენი 1:1 | 90 | 1 გოლი | 19 | 14 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | აიაქსი 2:3 | 90 | საგოლე პასი | 11 | 0 | 13 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | დიგენისი 1:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 12 | 3 | 4 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | დიგენისი 1:0 | 90 | | 13 | 3 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | დიგენისი 1:0 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | შ | დიგენისი 1:0 | 65 | შეცვალეს | 3 | 0 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | აელ 3:2 | 90 | 2 გოლი | 12 | 4 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ბინძური კლასი

## ვინ არის ჟან-ჟაკ ეიდელი: მონანიე თუ შანტაჟისტი?




ახლა ისეთ ციტატას მოვიტანთ, რომიოლად მიხვდებით, ვინც არის მისი ავტორი:

„ჟან-ჟაკ ეიდელი უსაქმოდაა დარჩენილი და ამიტომაც ცდილობს ჩემი კლუბის ყოფილი ფეხბურთელებისა და თანამშრომლების შანტაჟს. აშკარაა, მას ფულის გამოძალვა სურს, მაგრამ არაფერი გამოუვა. მე ეიდელს ცილისწამებისთვის სასამართლოში ვუჩივლებ. „ვალანსიენ" — „მარსელის" ისტორია აღარ განმეორდება. მაშინ რაც მოხდა, მოხდა, ახლა სხვა დრო და სხვა სიტუაციაა".



ბერნარ ტაპის
ერთადერთ თასს ედავებიან

**ცხადია,** გამოიცანით, ეს ბერნარ ტაპის ნათქვამია. დიახ, დიახ, ამ სიტყვების ავტორი სწორედ ის ბერნარ ტაპია, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში „მარსელის" პრეზიდენტი და ფრანსუა მიტერანის დროინდელ მთავრობის კაბინეტში ერთხანს მინისტრიც კი იყო. შემდეგ ტაპის საქმეები აეწეწა, ათასი ცოდვა დაუმტკიცდა და საქმე იქამდე მიუვიდა, რომ რვა თვე ციხეშიც კი გაატარა. ახლა, როგორც ხედავთ, იგი ეიდელს ემუქრება.

და მოდი, ორიოდ სიტყვა თავად ეიდელზეც ვთქვათ: ჟან-ჟაკ ეიდელი გახლავთ „მარსელის" ყოფილი ფეხბურთელი, რომელმაც გასულ შაბათს „ეკიპს" მისცა ინტერვიუ, სადაც განაცხადა, რომ 1993 წელს მიუნხენში ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ „მარსელის" ფეხბურთელები კლუბის ხელმძღვანელთა მოთხოვნით, რიგში ჩააყენეს და დოპინგის ნემსები გაუკეთეს. ის ფინალი, „მილანთან" ტაპისა და ეიდელის გუნდმა 1:0 მოიგო. გარდა ამისა, ეიდელი გახლავთ ის ადამიანი, რომელიც ხსენებულ ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარებული და სკანდალურად ცნობილი „მარსელ" — „ვალანსიენის" მატჩის ისტორიაში უშუალოდ გახლდათ გარეული. ლაპარაკია „მარსელის" მხრივ „ვალანსიენის" ფეხბურთელების მოქრთამვასა და შედეგის მოლაპარაკებაზე. ფული ტაპის დავალებით სწორედ ეიდელმა მიუტანა „ვალანსიენის" მოთამაშის, კრისტოფ რობერის ცოლს და ქმარზე ზემოქმედება სთხოვა.

თუმცა, მოდი, სხვა თემებზე ნუ გადავერთვებით. როგორც ტაპიმ ბრძანა, „ვალანსიენის" ამბავი დასრულებულია, მის გამო „მარსელი" თავის დროზე მეორე ლიგაში მოისროლეს და, ასე ვთქვათ, სასჯელი მოხდილია.

ასე და ამგვარად, „ეკიპთან" ინტერვიუში ეიდელმა 1993 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიხსენა და ბრძანა: „ერთადერთი კაცი, რომელმაც ნემსის გაკეთებაზე უარი თქვა და ჩხუბი დაიწყო, რუდი ფიოლერი გახლდათ. მან გასახდელში ყველას გერმანულად აგინა".

ბერნარ ტაპი: „მიუნხენში მატჩის დამთავრების შემდეგ უეფას ექსპერტებმა ფეხბურთელები დოპინგ-კონტროლზე გაიყვანეს და ლაბორატორიულად დაასკვნეს, რომ სუფთანი იყვნენ. საერთოდაც, დოპინგის მასობრივი გაკეთება შეუძლებელია, ასეთი რამ არ ხდება. დოპინგს სპორტსმენები იკეთებენ ინდივიდუალურად, საკუთარი ექიმების შერჩეული დოზებითა და დახმარებით".

საინტერესოა, რომ ფრანგმა ჟურნალისტებმა მიაკითხეს მოსამართლე ერიკ დე მონგოლფიეს, რომელმაც „ვალანსიენის" ამბავზე გამოიტანა ვერდიქტი. მან ეიდელი ასე მოიგონა:

„მაშინ ეიდელს ტაპის წინააღმდეგ ვერაფერი ათქმევინეს. ეტყობა, მას ახლა უნდა იმის გაკეთება, რაც მაშინ უნდა გაეკეთებინა".

ახლა კი, მოდი, სხვათა კომენტარებსაც ჩავხედოთ. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, „მარსელის" წევრი მარსელ დესაი:

„ეიდელი ჩემი მეგობარია, მაგრამ ის, რასაც ახლა აკეთებს, საზოგადოების ყურადღების მისაპყრობი ფანდია და მეტი არაფერი".

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი რუდი ფიოლერი: „ის, რაც ეიდელმა თქვა, დაუჯერებელია. მე ნამდვილად არ მახსოვს, რა ხდებოდა გასახდელში ფინალის წინ და არ მახსოვს, ჩემს თანაგუნდელებს ნემსი გაეკეთებინოთ".

კეთილი და პატიოსანი, „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორის ნათქვამს ზოგი ალალად მიიღებს და ზოგიც ხელის დაფარებად ჩათვლის, აი, მაშინდელი „მონაკოს" თავკაცის, არსენ ვენგერის სიტყვები კი „მარსელის" ჩემპიონობის წლებში მეორე და მესამე ადგილებზე გამავალი გაწბილებული კაცის სიტყვებია.

„ეს ყველაფერი მე კი არა, ბევრმა იცოდა. ჩვენ ახლა ფრანგული ფეხბურთის საშინელი წლების ამბებს ვიხსენებთ. მაშინვე ვცადე განგაშის ატეხვა, ვილაც-ვილაცებს შევატყობინე, რაც ხდებოდა, მაგრამ ცხადი იყო, ვერაფერს დავამტკიცებდი. გარშემო კორუფცია და დოპინგი მეფობდა. თამაშების გაყიდვა ძალიან ადვილად ხერხდებოდა. ურიგდებოდნენ ცალკეულ მოთამაშეებს, რომლებიც საჭირო მომენტში განა ბურთს ფეხს ვერ გაარტყამდნენ და შემდეგ განცდის გამოსახატავად მოედანზე დაეცემოდნენ. არა, ისინი კუთხურის დროს ოდნავ მარცხნივ ან ოდნავ მარჯვნივ დადგებოდნენ, მოკლედ ადგილის შერჩევაში შეცდებოდნენ და ეს სრულიად საკმარისი იყო. მეტსაც გეტყვით, ამის გარდა მათ შეეძლოთ, „კარგადაც ეთამაშათ" და შთაბეჭდილება მოეხდინათ".



მარსელი — მილანი 1:0. ბაზილ ბოლის საგოლე თავური

90-იანი წლების დასაწყისში კი ვენგერი ასე ამბობდა:

„საფრანგეთის ჩემპიონი „მარსელის" გარდა ვერავინ გახდება. ეს გახლავთ შედუღაბებული გუნდი, რომელსაც საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს. მას ჯილდო მარტო ხარისხის გამო უნდა გადასცე".

რას გაიგებ კაცი...

„მარსელის" დღევანდელი მწვრთნელი ჟან ფერნანდესი კი იმ წლებშიც გუნდში იყო, ოღონდ სხვადასხვა დაბალ სამწვრთნელო რანგში. ის ამბობს:

„ეიდელის ინტერვიუ რომ წავიკითხე, მივხვდი, ეს პროვოკაცია იყო. იმ წლების „მარსელი" უძლიერესი გუნდი გახლდათ. ორი სეზონის განმავლობაში საფრანგეთში ხომ ვერავინ გვჯობდა და ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვიყავით. აშკარაა, ეიდელს ფულის შოვნა აქვს განზრახული. როგორ არა, ვიტამინებს ფეხბურთელები იღებდნენ, მაგრამ დოპინგის ამბავი ტყუილია. რაც შეეხება „ვალანსიენის" ისტორიას, მაშინდელი მიზეზი მარტივი გახლდათ. გუნდს რამდენიმე დღეში ჩემპიონთა ლიგის ფინალი უწევდა და ტაპის ეშინოდა, რომ ვინმე დაემტვრეოდა."

და ბოლოს, მოდი, წაგებულ ფინალისტებსაც მივხედოთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იცით, რაზეა ლაპარაკი? ის ცამეტი წლის წინანდელი თასი „მარსელს" წავართვათ და „მილანს" გადავცეთო. აი, რას ფიქრობს შავ-წითელთა ახლანდელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი:

„ეს ამბავი დეტალურად გამოსაკვლევია და თუ ეიდელის სიტყვები დადასტურდება, თასი „მილანს" უნდა დაუბრუნონ."

მილანელთა მაშინდელი თავდამსხმელი დანიელე მასარო:

„წარმოუდგენელია, ამის შესახებ 13 წლის მანძილზე დუმდნენ. თუ ეს ყველაფერი მართალია, თასი „მილანს" უნდა გადასცენ."

რობერტო დონადონი: „როგორც ჩანს, დოპინგის გაკეთება მათი კლუბის ხელმძღვანელობამ მოითხოვა. სამწუხაროა, პროფესიონალები გამარჯვებისთვის დოპინგის გაკეთებას რომ კადრულობენ."

„მილანის" მაშინდელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო:

„მე პირადად მაშინ „მარსელის" ფეხბურთელებს დოპინგის რაიმე კვალი ვერ შევამჩნიე. მერედა, 13 წლის შემდეგ თასის „მილანისთვის" გადაცემას რა აზრი აქვს."

**პაპუნა ძიდია**



ანჩელოტის მოუგებელი თასიც მოუნდა, კაპელო კი წაგებულს აღარც მისტირის

# მშვიდობით, სვენ...

## ინგლისმა მსოფლიო თასი რომც მოიგოს, ერიკსონს გაუშვებენ



**შვედის** ამბავი დამთავრებულია. თუნდ ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, სვენ გორან ერიკსონს კონტრაქტს გაუწყვეტენ.

ანუ, ის აღარ იქნება ნაკრების მწვრთნელი ივლისის შუა რიცხვებიდან.

მეტიც, მას არცერთი კლუბი არ ენდობა და სამუშაოს არ შესთავაზებს. ვის რად უნდა კაცი, რომელიც პირველივე შეხვედრისას უცნობ „შეიხს" თავისი ფეხბურთელების საიდუმლოებებს გადმოულაგებს?!

თუმცა, „შეიხის საქმის" პირველმა ეტაპმა ერიკსონისთვის იოლად ჩაიარა. მან თავის ვარსკვლავებს ჩამოურეკა და მოუბოდიშა. ბექემმა და რიო ფერდინანდმა ბოსს უთხრეს, არა უშავსო. ასევე უთხრა მაიკლ ოუენმაც, თუმცა ეს უკანასკნელი ოდნავ ნაწყენი დარჩენილა, ეგ რამ ათქმევინა, რომ „ნიუკასლში" მხოლოდ ფულის გულისთვის გადავედიო.

ერიკსონზე არ განაწყენებულა „ასტონ ვილას" მენეჯერი დევიდ ოლირიც, ვის თანამდებობასაც „შეიხთან" საუბრისას უმიზნებდა შვედი.

არც იმაზე გადარეულა ვინმე, ერიკსონმა რომ „ჩელსი"-„არსენალის" საიდუმლო მოლაპარაკებების შესახებ უამბო „ნიუს ოვზე უორლდის" „შეიხებს", ანრიში ორიოდ წლის წინ, 70 მილიონ გირვანქას იხდიდნენო. არც იმაზე, სერ ალექს ფერგიუსონი რომ გამოლანძღა ბექემის გაყიდვისთვის.

ინგლისური ფეხბურთის მამები ალაშფოთა იმან, რომ ერიკსონმა და მისმა აგენტმა ათოლ სტილმა „შეიხს" სამი სატრანსფერო კორუფციაში გარეული კლუბი დაუსახელეს. ანუ ინგლისურ ტრანსფერებში შავი ფული ტრიალებსო. ეს ყველაფერი მეგაზეთეებს ჩაწერილი აქვთ.

„შეიხი" კითხულობს: „მენეჯერებიც მონაწილეობენ ტრანსფერებში?" შვედი პასუხობს: „კი, რა თქმა უნდა. ჯიბეს ფულით ივსებენ".

ფეხბურთის ასოციაციაში აღშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ ეროვნული ნაკრების მენეჯერი უცნობ კაცს ჭორებს უყვება ფეხბურთის ყველაზე დიდი ავადმყოფობის შესახებ.

გუშინ სოჰოს მოედნის ოფისში ასოციაციის უფროსობა ერიკსონს შეხვდა და თავში ნათქვამი გაუმეორა. გუშინწინ კი, ასოციაციის შეფმა ბრაიან ბარვიკმა ათოლ სტილს იგივე უთხრა: ჩემპიონატის შემდეგ ერიკსონი უნდა წავიდეს.

შვედს 2008 წლამდე აქვს კონტრაქტი ინგლისელებთან. ადრე გაშვება ნიშნავს, რომ მას 10 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადონ. თუმცა ასოციაცია ეცდება, რომ ეს თანხა 3 მილიონამდე შეამციროს.

საერთოდ კი, ერიკსონმა იქამდე გაუგონარი ხელფასები აართვა ინგლისელებს.

ასოციაცია ყოველთვის მკერდით იცავდა ერიკსონს სხვა სკანდალების დროს. მაშინაც, როცა მან „მანჩესტერთან" გააბა მოლაპარაკებები, როცა ფერგი წასვლას აპირებდა და მაშინაც, როცა „ჩელსის" კლაუდიო რანიერის შემცვლელად ესახებოდა. ამ დროს მას ხელფასიც კი გაუზარდეს.

მოკლედ, ერიკსონი მიდის, მაგრამ საქმე სხვაა: მთელი ეს ისტორია, მისი გადაყენების წინასწარ გამოცხადებით, ძალიან ცუდია ნაკრებისთვის, რომელიც საფეხბურთო წრეებში მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლება და ასეთი ძალისა ათწლეულებია, არ ყოფილა. ამ განწყობით მსოფლიო თასისთვის ბრძოლა კი ძნელი იქნება.

სხვა კუთხით: „შეიხის" ისტორიას ძალიან ცუდი სუნი უდის და შესაძლოა, შვედი მხოლოდ ერთი რიგითი ფიგურა აღმოჩნდეს.

**ირაკლი გამყრელიძე**



ძმები ნევილები

# გარის ღრიალი

**გარი ნევილის** საქმეს ფეხბურთის ასოციაციაში განიხილავენ.

კვირას, „ლივერპულისთვის" გამარჯვების გოლის გატანის შემდეგ, ყველა მანჩესტერელი ამ გოლის გამტან რიო ფერდინანდისკენ გაქანდა. კაპიტანი გარი კი სტუმართა ტრიბუნისაკენ.

უფროსმა ნევილმა მთელი მინდორი გადაირბინა, ლივერპულელთა ტერასასთან მივარდა ველური ღრიალით და თან გამხეცებულ კოპებს თავის მკერდზე, საკლუბო გერბზე მიანიშნებდა.

ეს აგრესიად და მაყურებლის გაღიზიანებად ითვლება.

აწ „ევერტონში" მოთამაშე უმცროსმა ძმამ, ფილმა გარი დაიცვა: „ჩემი ძმა ყოველთვის ასე ზეიმობს ხოლმე „ლივერპულის" დამარცხებას. ეს ბევრს ნიშნავს მისთვის. ამაში ხელს ვერ შეუშლი".

თამაშის შემდეგაც გარიმ სტუმართა ტრიბუნას აწეული ცერები დაანახა.

ისე კი, ცნობილია, რომ უფროს ნევილს ძალიან რთული ურთიერთობა აქვს მერსისაიდულ გულშემატკივრებთან.

მოკლედ, გარის უღირს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# წავიდეს აქედან



**გრემ სუნესის** უფროსობის დღეები „ნიუკასლში" დათვლილია.

ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ თავმჯდომარე ფრედი შეფერდმა უარი თქვა მის მხარდაჭერაზე მას შემდეგ, რაც ჯორდი-ფანობამ სიტყვით შეუტია მენეჯერს.

შაბათს, „ბლექბერნთან" საშინაო თამაში შემდეგ ოთხასამდე ნიუკასლელი შეიკრიბა „სენტ ჯეიმს პარკის" სასამსახურო შესასვლელთან და შეძახილებით „წავიდეს სუნესი" ბარე ნახევარი საათი გაატარეს იმ ყინვაში.

ფრედი შეფერდმა კი ამ ამბავს ასეთი პასუხი გასცა: „არაფერი მეთქმის. სრულიად არაფერი". „ბლექბერნთან" მარცხის შემდეგ თავმჯდომარემ თქვა, რომ ყველაზე ცოტა, რასაც ამ სეზონის ბოლოს ელოდა, უეფას თასის საგზური იყო. სუნესს სამწლიანი კონტრაქტი აქვს „ნიუკასლთან" და ჯერ მხოლოდ 19 თვეა, მწვრთნელია, თუმცა აქედან ხეირი არაფერი ყოფილა.

ამბობენ, რომ ჯორდები „ბოლტონის" თავკაც სემ ალარდაისს შესთავაზებენ მენეჯერობას.

**ირაკლი გამყრელიძე**


## იყიდება

1998 წელს გამოშვებული **VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI** ძრავით,

ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში შემოყვანილი.

ფასი შეთანხმებით.

ტელ: 8 99 90 08 68




### მექსიკა

კლაუსურა. I ტური

ტოლუკა — ნეკაქსა 3:1; ხაგუარესი — გვადალახარა 3:1; ატლანტე — დორადოსი 0:0; მორელია — კრუს ასული 0:1; ტიგრესი — ამერიკა 1:1; ატლასი — ვერაკრუსი 2:0; პუმასი — სანტოსი 1:0; პაჩუკა — მონტერეი 1:1; ტეკოსი — სან ლუისი 2:1

### ამხანაგური მატჩი

აშშ 0:0 კანადა


რეკლამა სარბიელ-ში

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

# პრიმერა შიშის დივიზიონია

## პეკერმანის პასუხი იბერიულ კითხვაზე: ბრაზილია, მაგრამ არგენტინა...

ხოსე ნესტორ პეკერმანი, არგენტინის ნაკრების დამრიგებელი, ერთი კვირით ესპანეთში გახლდათ, რათა იქაურ პრიმერადივიზიონში მობურთავე უამრავ თვისტომს დაჰკვირვებოდა. ადგილობრივმა „მარკამ" ძლივს გამოიჭირა სასაუბროდ მორიდებული კაცი — ოკეანისგაღმელ სპეციალისტს არც ბევრი ლაპარაკი უყვარს და არც მედიის წინაშე თავმომწონედ ტრიალი. მწვრთნელის მისია ახლა ისაა, რომ არგენტინამ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ტკივილი დაივიწყოს და გერმანიაში წარმატებით გამოვიდეს. პეკერმანი 2005-ში მსოფლიოს სამ საუკეთესო მწვრთნელს შორის მესამე იყო (პარეირასა და ვან ბასტენის შემდეგ), თუმცა ახლა მთავარი ბრძოლები წინაა და „მარკა" არგენტინელს ამაზეც და ბევრ სხვაზეც ესაუბრა...



— მუნდიალზე წამსვლელი 23 ფეხბურთელის ვინაობა უკვე გაარკვიეთ?

— საკმაოდ რთული საქმე მქონდა, ის ნაკრები უნდა განმეახლებინა, რომელმაც კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხალხს ჯგუფიდან გავარდნით გული მოუკლა. უამრავი ფეხბურთელი შევამოწმეთ და ახლა 25-28 მოთამაშე მყავს, რომელთაგანაც შევადგენ გერმანიაში წამსვლელთა სიას.

— 2006 წლის მსოფლიოს პირველობაზე როგორ არგენტინის ნაკრებს ვნახავთ?

— იდეალური ვარიანტი ალბათ გამოცდილ და ახალგაზრდა მოთამაშეთა ნარევი იქნება. ჭაბუკი ვარსკვლავების გაბრწყინებას კიდევ ველოდები — რაც უფრო მეტი მესი, ფერნანდო გაგო და სერხიო აგერო გვეყოლება, მით უკეთესი ჩვენი ქვეყნისთვის.

— ლეო მესი ახსენეთ. „ბარსას" ახალგაზრდა ფორვარდის გამოჩენა თქვენთვის ხსნა უფრო იყო თუ, დამატებითი სირთულე? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მესის ნაკრებში, თანაც ძირითადში თამაშს მთელი არგენტინა მოითხოვს...

— ვარსკვლავის გუნდში ყოფნა მწვრთნელისთვის სირთულეს არასოდეს წარმოადგენს. მესისნაირი ფეხბურთელები სქემებში არ ჯდებიან და მეც ყოველთვის მოთამაშეებს სისტემაზე წინ ვაყენებდი. რიკელმესა და სავიოლას თავისუფლად შეუძლიათ, პაბლოსთან და მესისთან ერთად ითამაშონ. ჩემი აზრით, ჯობს, ნაკრებში მეტი ტალანტი იყოს, ვიდრე გარკვეული, თუნდაც აღიარებული სისტემის გამო ვინმე ეროვნულ გუნდს გარეთ დარჩეს.

— ზუსტად ამას საყვედურობენ არგენტინის ნაკრებს — სისტემას ვერ ირგებს და მოედანზე სულ არეულ-დარეული გამოდისო...

— მაშინ გეტყვით, რომ არგენტინაში ჩარჩოები არ უყვართ და ინჩასები გვთხოვენ, ყველა თამაში ლამაზად მოვიგოთ. ბევრი დანარჩენი ქვეყნისგან ეს განგვასხვავებს.

— აქ, ესპანეთის ჩემპიონატში, ბევრი არგენტინელი თამაშობს. მცირე ხნის წინ კი „ელ პაისთან" ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ პრიმერადივიზიონის დონე დაქვეითდა...

— ახლაც ასე ვფიქრობ, თუმცა ესპანური პრიმერა თავისი შესანიშნავი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების წყალობით მალე „მომჯობინდება". დონის დაცემაზე „ელ პაისს" აქაური გრანდების დასუსტების გამო ვუთხარი — ადრე „ვალენსია", „დეპორტივო", „რეალი" და ბილბაოს „ატლეტიკი" საათივით აწყობილი გუნდები იყვნენ, მათი სტილი ნებისმიერ თამაშში ჩანდა. დღეს კი ესპანეთის ჩემპიონატში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ყველას წაგების ეშინია. ძლიერები სუსტებს გაუთანაბრდნენ და ამას ის მოჰყვა, რომ შესანიშნავი ძველი ფეხბურთი სადღაც კუთხეში მიგდებული აღმოჩნდა.

— ესპანეთის გასაჭირს არგენტინელ ლეგიონერთა „დესანტი" გადაწყვეტს?

— ასე სრულიადაც არ ვფიქრობ, რატომ მხოლოდ ჩემი თანამემამულეები, პრიმერადივიზიონს ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება სხვა ქვეყნების ვარსკვლავები.

— რიკელმე მუნდიალს ძალიან დაქანცული შეხვდება. ეს არ გაღელვებთ?

— რიკელმეს ამბავიც მაღელვებს და ყველა იმათიც, ევროპულ ლიგებში და ჩემპიონთა ლიგაზე რომ გამოდიან. საუბედუროდ, დაღლილობა გერმანიაში თავის სიტყვას იტყვის.

— „ვილიარეალის" ჩაუქი „რომი" თავისი ქვეყნის ნაკრების აღიარებული ლიდერიცაა. თუ თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— რიკელმე ჩვენი მთავარი ფეხბურთელია, რადგანაც მინდორზე სწორედ იმას აკეთებს, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვინდა. როცა „რომი" მოედანზეა, ნაკრები გაცილებით უკეთ თამაშობს. ფეხბურთელებმა იციან, რომ მეტოქის მხრიდან პრესინგის შემთხვევაში ბურთი რიკელმეს უნდა გადააწოდონ და ის თამაშს გაშლის. მას ეროვნული გუნდისთვის ასე საჭირო სიმშვიდე მოაქვს.

— აიმარისა და მესის ნაკრებში ერთად თამაში თუ შეიძლება?

— რატომაც არა. აიმარი მატჩის ბედის გადაწყვეტასაც იოლად ახერხებს. მესისთან „თანამშრომლობით" პაბლო ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს. ახლა მთავარია, ვალენსიელმა ტრავმა არ მიიღოს. როცა აიმარი ფორმაშია, მეტოქეებს შიშის ზარს სცემს.

— გულახდილად გვითხარით, საფეხბურთო ტალანტებით ბრაზილია სჯობს თუ არგენტინა?

— თუ საფეხბურთო სპექტაკლებზე ვსაუბრობთ, ცხადია, „ესთეტ" ბრაზილიელებს ტოლს ვერავინ დაუდებს, მათ დახვეწილი ლამაზი ბურთაობა უყვართ. კარლოს ალბერტო პარეირას უამრავი გადასარევი მოთამაშე ჰყავს, რასაც ყველა აღიარებს. მაგრამ, როცა საქმე არგენტინასთან შეჯახებაზე მიდგება, ბრაზილიელებს ურჩევნიათ, ფრთხილად იყვნენ — ჩვენ ტექნიკური ფეხბურთელებიც საკმაოდ გვყავს და გუნდური სულიც უფრო მყარი გვაქვს.

**ლადო ხომერიკი**



პეკერმანს ლიონელ მესის ეიმედება

### ფეხბურთის რუკასთან

**ესპანეთის** ნაკრებისა და „დეპორტივოს" ერთ-ერთი ლიდერი ხუან კარლოს ვალერონი დაშავდა. „მალიორკასთან" მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა და დაახლოებით ექვსი თვე უქმობა ელის. არადა, გამოცდილმა პლეიმეიკერმა სასურველი ფორმა ახლახან აღიდგინა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი წასვლაც საეჭვო შეიქნა. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით მსგავს ვითარებაში არიან რაული და ხავი, რაც ესპანეთის ნაკრებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

**იტალიური** პრესის ცნობით, მილანის „ინტერი" „ლაციოს" ორ ფეხბურთელს, აპარესიდო სეზარსა და სიმონე ინძაგის დაიმატებს. ამბობენ, სეზარი 2008 წლამდე, ხოლო ინძაგი „ნერაძურიში" ნახევარი წლით იჯარით გადავა. როგორც იცით, „შავ-ლურჯების" თავკაცი, რობერტო მანჩინი, ადრე „ლაციოს" წვრთნიდა და ამ მოთამაშეებს კარგად იცნობს.

**ინგლისურ** „მიდლსბროს" დაცვის გაძლიერება უნდა. ბოლო სამ მატჩში კლუბმა 12 გოლი გაუშვა და სტივ მაკლარენიც ახალ ფეხბურთელს ეძებს. მთავარი სამიზნე ამჟამად პრაღის „სლავიას" მცველი, მარტინ ლატკა ყოფილა. შეთანხმება პირველ ჯერზე არ შედგა, რადგანაც „სლავია" ინგლისელთა შეთავაზებულ ვარიანტს არ დასთანხმდა, მაგრამ მოლაპარაკება გრძელდება. „ჩემი ოცნება შეიძლება ახდეს. ინგლისური ფეხბურთის ქომაგი ვარ და პრემიერლიგაში სიამოვნებით ვითამაშებ" — თქვა ლატკამ.

**გერმანული** „დუისბურგი" მალე შეიძლება იუნგ-ჰვან ანით გაძლიერდეს. კორეელი გასულ ზაფხულს ფრანგულ „მეცში" გადავიდა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა და წასვლაც ამიტომ გადაუწყვეტია. 30 წლის აზიელს ამჟამად ტრავმა აწუხებს, ექიმები კი ამბობენ, მალე მომჯობინდებაო. „ანი, ალბათ, უახლოეს დღეებში გერმანულ „დუისბურგში" ჩაირიცხება" — ნათქვამია „მეცის" ოფიციალურ განცხადებაში.

**ესპანური** „სევილიას" მოთამაშე, დანიელ ალვესი, კლუბის პატრონს ემუდარება, „ლივერპულში" გამიშვიო. ბრაზილიელს „ენფილდზე" გადასვლა ძალიან უნდა — თუ ეს მოხდა, მსოფლიოში უბედნიერესი ადამიანი ვიქნებიო. სევილიელთა პრეზიდენტმა, ხოსე მარია დელ ნიდომ კი, რამდენიმე დღის წინ „ლივერპულის" შეთავაზება უარყო, მერსისაიდელები ალვესში 10 მილიონ ევროს იხდიან.

**ფრანგულმა** „ნიცამ" ახალგაზრდა ნიგერიელი ფეხბურთელი აჰამ ონიკაჩი დაიმატა. მხარეებმა წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს. „ნიცაში" ორკვირიან სინჯებზე ორი ლივერპულელი მოთამაშეც იმყოფება. 21 წლის მალელი დრისა დიაკიტე და მისი 19 წლის თანამემამულე სვედე ეძრა ტაპირი გუნდის მწვრთნელ ფრედერიკ ანტონეტის თავს თუ მოაწონებენ, კონტრაქტს მათაც გაუფორმებენ.

### ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისურმა** „ვესტ ჰემმა" „ნორვიჩის" მოთამაშე დინ ეშტონი შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კლუბთან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ეშტონი ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლება. ლონდონელები მასში 8 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. „გუნდის მთავარი მწვრთნელი ალან პერდიუ მიიჩნევს, რომ დინი ის ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია, კლუბი ახალ საფეხურზე აიყვანოს" — თქვა „ჩაქუჩების" დირექტორმა პოლ ოლდრიჯმა.

**პორტუგალიური** „სპორტინგის" ცენტრალური მცველი ბეტო ფრანგულ „ბორდოში" გადავიდა და ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. 29 სანაკრებო მატჩის მონაწილემ ათი სეზონი გაატარა ლისაბონურ კლუბში და ახლა გუნდის გამოცვლა ისურვა. „ეს ჩემთვის გამოწვევაა — თქვა ბეტომ — „ბორდოზე" ბევრი კარგი მსმენია და მინდა, რომ მომავალ შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ". 2004 წლის მარტის შემდეგ ბეტოს ნაკრების მაისურა აღარ მოურგია და ეროვნულ გუნდში ადგილის დაბრუნებას „ბორდოდან" აპირებს.

**შვეიცარიელი** ნახევარმცველი, რეტო ციგლერი, შესაძლოა, „უიგანში" აღმოჩნდეს. სეზონის ბოლომდე იგი „ტოტენჰემიდან" „ჰამბურგში" იყო განათხოვრებული, მაგრამ ლონდონურმა კლუბმა იგი დროზე ადრე გამოიხმო და, ბრიტანული პრესის ცნობით, სწორედ, „უიგანში" გასაყიდად. „სამწუხაროა, რომ რეტო გვტოვებს. მასთან თანამშრომლობას სიამოვნებით გავაგრძელებდით. ახლა კი წარმატებებს ვუსურვებთ" — თქვა „ჰამბურგის" სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბეიერსდორფმა.

**იტალიელმა** მეკარემ, კარლო კუდიჩინიმ, „ჩელსისთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" აპენინელი გოლკიპერი 1999 წელს, 230 ათას ევროდ გადაბარგდა. იგი კლუბის შეუცვლელი მეკარეც გახლდათ 2004 წლამდე, სანამ ლონდონელები პეტრ ჩეხს არ იყიდდნენ. ბოლო წელიწადნახევარში „ჩელსის" მიერ ჩატარებული 90 მატჩში კუდიჩინის მხოლოდ თექვსმეტჯერ უთამაშია.

**ესპანური** „ესპანიოლის" სპორტულ დირექტორად, ალბათ, ხოსე ანტონიო კამაჩოს და ნიშნავენ. პირინეებზე უკვე იმასაც ამბობენ, კამაჩო პოსტზე მისვლისთანავე გუნდში ფერნანდო მორიენტესის მოყვანაზე იზრუნებსო. ისინი ერთად იყვნენ „რეალში" და კარგი ურთიერთობა აქვთ. თანაც, „მოროს" „ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს, თუმცა ძნელი სავარაუდოა, „ენფილდის" დატოვება ისურვოს.

# აფრიკის ერთა ჩემპიონატის თასი. ეგვიპტე 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი

# განა არწივი არ იღლება?!


AFP

ნიგერიელებმა ტაი ტაივუს (მარცხნივ) ერთადერთი გოლით იმარჯვეს

### D ჯგუფი. I ტური

**ნიგერია 1:0 განა**

1:0 ტაივუ (84)
**ნიგერია:** ენიემა, ოდია, იობო, ენაკარხირე, ტაივუ, ოდემვინგი (ნსოფორი 83), ორუმა, აიილა, ობოდო (ნვანერი 88), მარტინსი, აგაჰოვა (კანუ 79)
**განა:** აჯეი, გ. ისა, ჯ. მენსა, კუფური, პანცილი, იაკუბუ (შარპე 74), ჰამინუ, ლარეა, პაპოე (ფრიმპონგი 88), აპია, მ. ამოა
გაფრთხილება: იაკუბუ, პანცილი, ისა
15 000 მაყურებელი

**ფავორიტად** მიჩნეულ „სუპერარწივებს" გაუჭირდათ განელთა ძლევა, რადგან რატომირ დუიკოვიჩის შეგირდებმა დაცვაში ყოჩაღად ითამაშეს.

ნიგერიელთა მთავარი ფორვარდი ობაფემი მარტინსი, ჯულიუს აგაჰოვასთან ერთად ამაოდ ეცადა მეტოქის კარში ბურთის შეგდებას.

„სუპერარწივების" მწვრთნელმა ავგუსტინ ეგუავონმა დაატყო რა, რომ მის გუნდს შეტევაში უჭირდა, შეხვედრის დასრულებამდე თერთმეტი წუთია ადრე აგაჰოვა ნვანკვო კანუთი შეცვალა. შემდეგ კიდევ ერთი ცვლილება მიაყოლა შუა ხაზში, რასაც გოლი მოჰყვა. მართალია, ფორვარდებმა ვერ იყოჩაღეს, მაგრამ მათ მარსელელი მცველი ტაი ტაივუ დაეხმარა და დაახლოებით 30 მეტრიდან გამარჯვებისა „გაისროლა".

**ვაჟა ხუციშვილი**

**ზიმბაბვე 0:2 სენეგალი**

0:1 ა. კამარა (59), 0:2 ბა (80)
**ზიმბაბვე:** მუზაძი, შიმება, მაკონესე, მატოლა, მზვანდო, დინია (ნენგომაშა 60), ნიანდორო, კაონდერა, კასიანაუი (ბადა 83), მვარუვარი, ნდლოვუ (ლუპალა 66)
**სენეგალი:** ტ. სილვა, ბეიე, კოლი, ლ. დიატა, ს. დიავარა, ბარი, აბდულაიე ფეიე (პ. ბ. დიოპი 84), ამადი ფეიე, დიუფი, ა. კამარა, დ. კამარა (ნიანგი 62)
გაფრთხილება: მაკონესე, შიმება
17 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენეგალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ნიგერია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| განა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ზიმბაბვე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |



# ემანუელა

## ქალივით ჭირვეული ვის რად უნდა

**ტოგოელთა** მწვრთნელმა სტეფან კეშმა ემანუელ ადებაიორს „მტირალა ბავშვი" უწოდა. ლონდონის „არსენალის" ფორვარდი ნაკრების თავკაცს კონგოსთან მატჩის წინ აუჯანყდა, რადგან ძირითად შემადგენლობაში თავისი გვარი ვერ იპოვა.

ადებაიორმა თქვა, ჩემთვის ეს ტურნირი დასრულდა, სახლში მივდივარო, მაგრამ ეგვიპტიდან არ წასულა.

„ის უდისციპლინოა — განაცხადა კეშმა — ბავშვივით ჭირვეული და მტირალაა. თუ თავი ვარსკვლავად მიაჩნია, მაშინ დიდიე დროგბას და სამუელ ეტოოსავით მოიქცეს. ჯერჯერობით არ ვიცი, ითამაშებს თუ არა მომდევნო მატჩში".

ტოგოს ნაკრების კაპიტანმა ჟან-პოლ აბალომ მოკლედ მოჭრა: „შეუძლია წავიდეს. მან არა მარტო გუნდს, არამედ სამშობლოს უღალატა, როცა კონგოსთან თამაშის წინ სახლში წასვლით დაიმუქრა."

იანვრის დასაწყისში „მონაკოდან" ლონდონის „არსენალში" გადასულ ადებაიორს ამბიცია მიეძალა და ძირითად შემადგენლობაში ადგილსაც ამიტომ ითხოვდა. არსენალელმა მწვრთნელთან კამათის შემდეგ ქვეყანას მოსდო, სტეფან კეშმა მითხრა, „მონაკოდან" „არსენალში" გადასვლისას აგენტობას გაგიწევო. ამაზე უარი ვუთხარი, გაბრაზდა და ძირითადი შემადგენლობიდან ამომშალაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

### დღეს

### A ჯგუფი. II ტური

**ეგვიპტე — მაროკო**

**ლიბია — კოტ დივუარი**

ოცდაექვსჯერ შეხვდრიან ეგვიპტელი „ფარაონები" მაროკოელ „ატლასის ლომებს" და მხოლოდ ორჯერ დაუმარცხებიათ. დღეს 27-ედ დაეჯახებიან მატჩში, რომელიც ორივე გუნდისთვის, ფაქტობრივად, გადამწყვეტია. „ფარაონები" თუ მოიგებენ, მეოთხედფინალს გაინაღდებენ, ხოლო მაროკო, წაგების შემთხვევაში, ჯგუფიდან გასვლას ალბათ ვეღარ შეძლებს.

ეგვიპტე პირველი ტურის მატჩში ლიბიას იოლად გაუსწორდა, ხოლო მაროკო კოტ დივუართან დამარცხდა. „აფრიკაში მაროკოს ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს და მათ წინააღმდეგ თამაში იოლი არ იქნება" — თქვა მიდომ.

კოტ დივუარელმა „სპილოებმა" პირველ ტურში მაროკოს დამარცხებით სამი ქულა მიითვალეს, მაგრამ მწვრთნელ ანრი მიშელს საფიქრალი გაუჩნდა.

ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გუნდს მეგოლე არუნა დინდანე გამოაკლდა, რადგან ხუთი თვის შვილი გარდაეცვალა და შინ დაბრუნდა.

მეორე ფორვარდი, დიდიე დროგბა, დაშავებულია და შესაძლოა, ვერ ითამაშოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| კოტ დივუარი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მაროკო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლიბია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# საჩირო კაცი ნაკრებში



**სულ** ახლო წარსულში „იუვენტუსის" ცნობილი მცველი ჩირო ფერარა ყოფილ მენტორს მარჩელო ლიპის შეუერთდა და ზაფხულზე იტალიის ნაკრების მწვრთნელთა შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება.

საერთოდ, ფერარა ცნობილია როგორც დიდი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი, რომელსაც პროფესიული ოსტატობის გარდა იმითაც აფასებდნენ, რომ მხოლოდ მისთვის ჩვეული მიდგომით ახალგაზრდა ფეხბურთელებს გუნდში ადგილის პოვნაში ეხმარებოდა.

ფერარამ ფეხბურთის თამაშს თავი სერია A-ში ჩატარებული 500 მატჩისა და შვიდი სკუდეტოს შემდეგ დაანება. მის ტიტულებს შორისაა ჩემპიონთა ლიგა, იტალიის თასი და ქვეყნის ოთხი სუპერთასი, ბოლო ხანს კი იგი „სქაი იტალიაზე" კომენტატორად მუშაობდა.

მართალია, მისი ახალი თანამდებობის ამბავი ჯერ ოფიციალურად დადასტურებული და გაფორმებული არ არის, მაგრამ, როგორც ამბობენ, საქმის დასრულებას დეტალებიღა აკლია და მათი გარკვევის შემდეგ ფერარა ლიპის გვერდით მიუჯდება. სავარაუდოდ, ეს 1 მარტს, გერმანიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში მოხდება.

ახლა რაც შეეხება „ნაპოლისა" და „იუვენტუსის" ყოფილი ლეგენდის ურთიერთობას ახალ სამსახურთან ანუ იტალიის ნაკრებთან: ფერარას „სკუადრა ატურას" მაისურა 49-ჯერ მოურგია და რომ არა 1998 წლის სამწუხარო და მეტად მძიმე ტრავმა, ეს რიცხვი მეტი იქნებოდა. ხსენებული ტრავმის გამო მცველმა მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონატი გამოტოვა, მაგრამ ცნობილია, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში მაინც გუნდთან იყო და ამხანაგებს ამხნევებდა.

**პაპუნა ძიდია**



# აილტონის ჰამბურგერი

## გერმანია, თურქეთი, გერმანია

**აილტონი**, რომელიც დეკემბერში სტამბოლის აეროპორტში გაქცევის მცდელობისას „ბეშიქთაშის" მენეჯერმა „გაბაწრა", ბუნდესლიგის „ჰამბურგში" გადადის.

ბრაზილიელ ფორვარდს „ჰამბურგის" სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბეიერსდორფმა თურქეთში ჩააკითხა და მისი ტრანსფერი ფაქტობრივად გაჩარხა.

აილტონი 2004 წელს ბრემენის „ვერდერიდან" გელზენკირხენის „შალკეში" გადაბარგდა. „ხუმრების" მაისურა ერთ სეზონში მოსწყინდა და ოსმალეთის გზას დაადგა — „ბეშიქთაშში" გადავიდა. შარშანდელ შემოდგომაზე სტამბოლურ კლუბში მწვრთნელად ჟან ტიგანას მისვლის შემდეგ ბრაზილიელ მეგოლეს საქმე აეწყა, რადგან ფრანგ თავკაცს ვერ გაუგო.

2005-ის დეკემბერში კლუბის პატრონისგან დაუკითხავად აილტონმა თურქეთიდან გაპარვა სცადა, მაგრამ აეროპორტში „ბეშიქთაშის" მენეჯერმა ხელი სტაცა და უკან მიაბრუნა. ბრაზილიელმა თურქეთში დარჩენა იუარა, სტამბოლელებთან კონტრაქტი გაწყვიტა და ბრაზილიაში გაემგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ოსმალეთს ჩაბრძანდა, ვარჯიში განაგრძო და მეორე წრის პირველ მატჩში „ერჯიესთან" ითამაშა კიდეც. მიუხედავად ამისა, თურქეთიდან წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა და „ჰამბურგში" თამაშს დაყაბულდა.

32 წლის თავდამსხმელი, რომელსაც 198 ბუნდესლიგურ მატჩში 102 გოლი გაუტანია, შესაძლოა, მომავალ შაბათს „ნიურნბერგთან" ძირითად შემადგენლობაში ათამაშონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 325 | გენტი-სტანდარდი | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| 23:30 | 326 | მუსკრონი-ბევერენი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 23:30 | 327 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 23:30 | 328 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.90 | 3.50 | 3.40 | 1.23 | 1.21 | 1.72 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 329 | ერჯიესი-ფენერბაჰჩე | 4.70 | 3.20 | 1.65 | 1.90 | 1.22 | 1.08 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 330 | ბეშიქთაში-სამსუნი | 1.40 | 3.60 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.37 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 317 | ლაციო-ინტერი | 3.10 | 2.90 | 2.30 | 1.49 | 1.32 | 1.28 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 318 | უდინეზე-სამპდორია | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 23:45 | 319 | მილანი-პალერმო | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 320 | იუვენტუსი-რომა | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 331 | ნასიონალი-უნივერსიტარია | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| | | **ინგლისი LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 336 | კარლაილი-კიდერმინსტერი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 23:45 | 337 | ჩელტენემი-კოლჩესტერი | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 23:45 | 338 | მაკლსფილდი-ჰერეფორდი | 2.15 | 3.30 | 2.95 | 1.30 | 1.24 | 1.55 |
| 23:45 | 339 | სუონსი-უოლსოლი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 454 | იურგორდენი-ფრიოლუნდა | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| 22:00 | 455 | მორა-ბრიუნესი | 2.05 | 4.20 | 2.40 | 1.37 | 1.10 | 1.52 |
| 22:00 | 456 | სიოდერტელიე-მოდო | 2.25 | 4.20 | 2.10 | 1.46 | 1.08 | 1.39 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 20:30 | 473 | ჰაამეენლინა-იუვესკიულე | 1.55 | 4.30 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 474 | ილვესი-ჰელსინკი | 2.20 | 4.20 | 2.10 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 20:30 | 475 | კალპა-ტაპარა | 3.40 | 4.40 | 1.50 | 1.91 | 1.04 | 1.11 |
| 20:30 | 476 | კერპეტი-ლუკო | 1.35 | 4.50 | 4.50 | 1.03 | 1.03 | 2.25 |
| 20:30 | 477 | პელიკანსი-ტურკუ | 2.10 | 4.20 | 2.25 | 1.39 | 1.08 | 1.46 |
| 20:30 | 478 | სეიპა-ესეტი | 2.05 | 4.10 | 2.25 | 1.36 | 1.07 | 1.45 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 489 | ტრჟინეცი-ლიტვინოვი | 1.60 | 4.30 | 3.30 | 1.16 | 1.07 | 1.86 |
| 20:00 | 490 | ზლინი-ლიბერეცი | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 20:30 | 491 | კლადნო-კარლოვი ვარი | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 20:30 | 492 | პლზენი-სლავია | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |
| 20:30 | 493 | ზნოიმო-ვიტკოვიცე | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 21:00 | 494 | პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 1.55 | 4.40 | 3.40 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 21:30 | 495 | სპარტა-ვსეტინი | 1.15 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 3.07 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 525 | აისბარენი-ჰანოვერი | 1.60 | 4.40 | 3.30 | 1.17 | 1.07 | 1.88 |
| 22:30 | 526 | კიოლნი-იზერლონი | 1.35 | 4.50 | 4.60 | 1.03 | 1.04 | 2.27 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 540 | ფრიბურგი-დავოსი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 22:45 | 541 | რაპერსვილი-ციურიხი | 2.05 | 4.30 | 2.25 | 1.38 | 1.07 | 1.47 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 15:00 | 552 | აკ ბარსი-ხიმიკი | 1.60 | 4.60 | 3.20 | 1.18 | 1.06 | 1.88 |
| 15:00 | 553 | ავანგარდი-დინამო | 1.75 | 4.40 | 2.75 | 1.25 | 1.06 | 1.69 |
| 15:00 | 554 | ლადა-ცსკა | 2.40 | 4.40 | 1.90 | 1.55 | 1.06 | 1.32 |
| 15:00 | 555 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 1.30 | 4.70 | 5.00 | 1.01 | 1.03 | 2.42 |
| 15:00 | 556 | მაგნიტოგორსკი-ს.იულაევი | 1.30 | 4.70 | 5.00 | 1.01 | 1.03 | 2.42 |
| 15:00 | 557 | ნოვოკუზნეცკი-სევერსტალი | 1.85 | 4.30 | 2.40 | 1.29 | 1.04 | 1.54 |
| 15:00 | 558 | მოლოტი-ნეფტეხიმიკი | 2.50 | 4.30 | 1.85 | 1.58 | 1.06 | 1.29 |
| 14:00 | 559 | მვდ-სიბირი | 1.75 | 4.60 | 2.70 | 1.26 | 1.06 | 1.70 |
| 15:00 | 560 | ვიტიაზი-ასკ | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები.ავსტრალიის ღია ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 709 | კიფერი-გროსჟანი | 1.60 | 2.25 | | | | |

**ინგლისი. პრემიერლიგა. ჩემპიონი**
**31 იანვარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16:45 | 9001 | ჩელსი | 1.01 |
| 16:45 | 9001 | მანჩესტერი | 15.00 |
| 16:45 | 9001 | არსენალი | 50.00 |
| 16:45 | 9001 | ლივერპული | 21.00 |
| 16:45 | 9001 | ტოტენჰემი | 90.00 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა. ჩემპიონი**
**28 იანვარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:30 | 9003 | ჰერტა | 25.00 |
| 18:30 | 9003 | შალკე | 25.00 |
| 18:30 | 9003 | ბაიერნი | 1.07 |
| 18:30 | 9003 | ვერდერი | 12.00 |
| 18:30 | 9003 | ჰამბურგი | 11.00 |

**იტალია. სერია A. ჩემპიონი**
**28 იანვარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 21:00 | 9004 | ლაციო | 122.00 |
| 21:00 | 9004 | იუვენტუსი | 1.10 |
| 21:00 | 9004 | მილანი | 9.00 |
| 21:00 | 9004 | ინტერი | 7.00 |
| 21:00 | 9004 | სამპდორია | 95.00 |
| 21:00 | 9004 | ფიორენტინა | 80.00 |
| 21:00 | 9004 | რომა | 120.00 |

**შოტლანდია პრემიერლიგა ჩემპიონი**
**28 იანვარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19:00 | 9002 | სელტიკი | 1.03 |
| 19:00 | 9002 | ჰარტსი | 10.00 |
| 19:00 | 9002 | რეინჯერსი | 17.00 |
| 19:00 | 9002 | ჰიბერნიანი | 50.00 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. ჩემპიონი**
**14 იანვარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23:00 | 9005 | ვალენსია | 13.00 |
| 23:00 | 9005 | ბარსელონა | 1.05 |
| 23:00 | 9005 | რეალი | 10.00 |
| 23:00 | 9005 | სევილია | 85.00 |
| 23:00 | 9005 | დეპორტივო | 30.00 |
| 23:00 | 9005 | ვილიარეალი | 30.00 |
| 23:00 | 9005 | ოსასუნა | 25.00 |
| 23:00 | 9005 | ატლეტიკო | 65.00 |

## ჩემპიონთა ლიგა 21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23:45 | 9008 | ინტერი | 9.00 |
| 23:45 | 9008 | არსენალი | 14.00 |
| 23:45 | 9008 | ლიონი | 10.00 |
| 23:45 | 9008 | რეალი | 14.00 |
| 23:45 | 9008 | იუვენტუსი | 5.50 |
| 23:45 | 9008 | მილანი | 9.00 |
| 23:45 | 9008 | ბენფიკა | 50.00 |
| 23:45 | 9008 | ლივერპული | 13.00 |
| 23:45 | 9008 | რეინჯერსი | 90.00 |
| 23:45 | 9008 | ბაიერნი | 13.00 |
| 23:45 | 9008 | ვილიარეალი | 25.00 |
| 23:45 | 9008 | პსვ | 45.00 |
| 23:45 | 9008 | აიაქსი | 55.00 |
| 23:45 | 9008 | ვერდერი | 55.00 |
| 23:45 | 9008 | ჩელსი | 5.80 |
| 23:45 | 9008 | ბარსელონა | 5.20 |

## უეფას თასი. 15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23:45 | 9009 | ბოლტონი | 19.00 |
| 23:45 | 9009 | სტრასბური | 40.00 |
| 23:45 | 9009 | სევილია | 15.00 |
| 23:45 | 9009 | ჰერტა | 19.00 |
| 23:45 | 9009 | ალკმაარი | 13.00 |
| 23:45 | 9009 | ლიტექსი | 100.00 |
| 18:00 | 9009 | ბრიუგე | 55.00 |
| 23:45 | 9009 | მონაკო | 13.00 |
| 23:45 | 9009 | სლავია | 80.00 |
| 23:45 | 9009 | რაპიდი | 80.00 |
| 18:00 | 9009 | როზენბორგი | 90.00 |
| 18:00 | 9009 | თუნი | 100.00 |
| 23:45 | 9009 | ჰერენვენი | 80.00 |
| 23:45 | 9009 | ლევსკი | 85.00 |
| 18:00 | 9009 | პეტრჟალკა | 65.00 |
| 23:45 | 9009 | ლოკომოტივი(მ) | 26.00 |
| 18:00 | 9009 | შალკე | 11.00 |
| 23:45 | 9009 | რომა | 15.00 |
| 23:45 | 9009 | შახტარი | 17.00 |
| 23:45 | 9009 | ბაზელი | 70.00 |
| 23:45 | 9009 | მიდლსბრო | 16.00 |
| 18:00 | 9009 | ლილი | 21.00 |
| 23:45 | 9009 | ზენიტი | 35.00 |
| 23:45 | 9009 | ესპანიოლი | 25.00 |
| 23:45 | 9009 | ლანსი | 30.00 |
| 23:45 | 9009 | სტიაუა | 30.00 |
| 23:45 | 9009 | ჰამბურგი | 8.50 |
| 23:45 | 9009 | მარსელი | 17.00 |
| 23:45 | 9009 | პალერმო | 20.00 |
| 23:45 | 9009 | შტუტგარტი | 20.00 |
| 18:00 | 9009 | ბეტისი | 17.00 |
| 18:00 | 9009 | უდინეზე | 16.00 |

## მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.70 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დ'ივუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

**ჯგუფი A 9101**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.35 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 |

**ჯგუფი B 9102**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| 18:00 | შვედეთი | 3.10 |
| 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |

**ჯგუფი C 9103**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| 18:00 | არგენტინა | 1.95 |
| 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| 18:00 | კოტ დ'ივუარი | 9.00 |

**ჯგუფი D 9104**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | მექსიკა | 2.10 |

**ჯგუფი E 9105**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | აშშ | 7.00 |
| 18:00 | იტალია | 1.65 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| 18:00 | განა | 10.00 |

**ჯგუფი F 9106**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| 18:00 | იაპონია | 12.00 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.20 |

**ჯგუფი G 9107**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| 18:00 | კორეა | 10.00 |
| 18:00 | ტოგო | 15.00 |

**ჯგუფი H 9108**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ესპანეთი | 1.50 |
| 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სიზმარა

## კობი ბრაიანტის მზე, მთვარე და ვარსკვლავები



AFP ლოს ანჯელესი

ალბათ, ასეც დარჩება, სანამ ნბა-ს თამაშები 199:189 და მსგავსი შედეგებით არ დასრულდება. აი, დევკაც ჩემბერლენის შემდეგ კი, მაიკლ ჯორდანი და წარსულის სხვა, ვინმე დიადი კი არა, 27 წლის კობი ბრაიანტი დგას.

მთელი სეზონი უთქმელად და, შეიძლება ითქვას, გაუაზრებლადაც იმუქრებოდა კობი, რაღაც განსაკუთრებულს გავაკეთებო. „დალასთან" 3 მეოთხედში მოხვეჭილი 62 ქულა და შემდეგ 45-ქულიანი თამაშების სერია.

ახლა კი, ეს ანცი და დაუდეგარი ბიჭი, აი, ასეთ ზღაპარს გვიყვება — 81 ქულა!

კობის სიზმარს „ტორონტოსთან" შეხვედრის კუთხიდან თუ ავხსნით, „ლეიკერსს" ჰაერივით სჭირდებოდა მისი ქულები. აუტსაიდერი „რეპტორზი" მათსავე მოედანზე დამაჯერებლად უგებდა ლოსანჯელესელებს — პირველი მეოთხედის შემდეგ „ლეიკერსი" 29:36 აგებდა, ტაიმის შემდეგ კი — 49:63, მიუხედავად იმისა, რომ ბრაიანტს ანგარიშზე უკვე 26 ქულა ჰქონდა. მასპინძლები მესამეშიც ერთხანს 19 ქულითაც ჩამორჩნენ სტუმრებს და გაშალა ხელი კობიმ. მესამე მეოთხედში მან 27 ქულა ამოიღო საკუთარი აბგიდან და ჩაუგდო „ტორონტოს", „ლეიკერსმა" კი ეს 12-წუთეული 42:22 მოიგო და 91:85 დაწინაურდა. საქმე ჯერ არ იყო მოთავებული და ბრაიანტიც ვერავინ „დააწყნარა". მან ბევრი იბრძოლა, ბლომად ჩაყარა და ამ მეოთხედში 28 ქულა შეჰმატა თავის მონაგარს, თანაც ამ ყველაფერთან ერთად, ტექნიკურის გამომუშავებაც მოასწრო.

ბრაიანტის 81-ქულიანი მონაგარი მეოთხედების მიხედვით ასე „დახურდავდება": 14, 12, 27 და 28. მან 33 ნასროლი ორქულიანიდან 21 ჩააგდო, 13 სამიანიდან — 7 და 20 საჯარიმოდან — 18.

ამ შეხვედრის შემდეგ ბრაიანტის საამსეზონო შედეგიანობამ 1,5 ქულით მოიმატა და ახლა 35,9-ს შეადგენს, რითაც ის საშუალოდ ორ ქულაზე მეტით უსწრებს უახლოეს მდევარს, ნბა-ს ოთხზის ბომბარდირ ალენ აივერსონს.

**22 იანვარი**

**ლეიკერსი 122:104 ტორონტო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (81)

**ტორონტო:** ჯეიმსი (26 ქულა, 10 პასი), ბოში (18), როუზი (17)

**ეს არც** ვარჯიშზე მოხდა და, არც სადღაც, ჰარლემის გეტოს ჯაჭვისკალათიან მოედანზე. კობი ბრაიანტი ესროდა და ეროდა, არც ხელი დაღლია და, არც მეტოქის კალათის ამოვსების სურვილი განელებია. 22 იანვარს ლოს ანჯელესში, დარბაზ „სტეიპლზ სენთერში" „ლეიკერსის" სუპერვარსკვლავმა 81 ქულა ჩაუგდო „ტორონტო რეპტორზს".

ნბა-ს ისტორია თავისი ჩამოწიკწიკებული ციფრების სვეტებზე ერთადერთ შემთხვევას ინახავს — ვინმეს ამაზე მეტი ჩაეგდოს. ლეგენდარული უილტ ჩემბერლენის ზღაპრული შედეგი, 1962 წლის 2 მარტს „ნიუ იორკთან" დაგროვებული 100 ქულა დღემდე მიუწვდომელია და,

**კოტე ყორშია**

| |
|---|
| **20 იანვარი** |
| **ატლანტა 102:118 მილუოკი** |
| **ატლანტა:** აივი (4), ჯონსონი (15), სმიტი (9 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (13), ფაჩულია (30 წუთი, 12 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა); სტუდემაიერი (23), ჩილდრესი (16), უილიამსი (9), ბატისტა (1) |
| **მილუოკი:** ჯეკსონი (2), რედი (28), საიმონსი (25), ბოგუტი (5 ქულა, 13 მოხსნა), მალუა (10); უილიამსი (19), ველში (14), გაძურიჩი (12), კუკოჩი (3), გეინისი |
| **მინესოტა 90:85 ინდიანა** |
| **მინესოტა:** შჩერბიაკი (20), გრიფინი (17 ქულა, 14 მოხსნა, 6 დაფარება), გარნეტი (17) |
| *ცქიტიშვილი* განაცხადში არ იყო |
| **ინდიანა:** ჯონსი (19), კროშერი (18) |
| **ფილადელფია 89:86 მემფისი** |
| ძირითადი დრო 79:79 |
| **ფილადელფია:** აივერსონი (30), ვებერი (29) |
| **მემფისი:** ჯონსი (22), ჯონსი (14 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი) |
| **ვაშინგტონი 100:99 ნიუ ორლეანი** |
| **ვაშინგტონი:** არენასი (33), ბატლერი (24), ჯემისონი (20 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი) |
| **ნიუ ორლეანი:** პოლი (29 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ვესტი (17) |
| **ბოსტონი 99:96 ნიუ ჯერსი** |
| **ბოსტონი:** პირსი (25 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), დევისი (22) |
| **ნიუ ჯერსი:** კიდი (24), კარტერი (20) |
| **შარლოტი 93:104 ორლანდო** |
| **შარლოტი:** ბოგანსი (19), ნაითი (17) |
| **ორლანდო:** თურქოღლუ (24), ჰოვარდი (19 ქულა, 21 მოხსნა) |
| **მაიამი 94:101 სან ანტონიო** |
| **მაიამი:** ვეიდი (36), ონილი (23) |
| **სან ანტონიო:** პარკერი (38), დანკანი (14 ქულა, 11 მოხსნა) |
| **ჩიკაგო 108:109 ჰიუსტონი** |
| ძირითადი დრო 90:90 |
| **ჩიკაგო:** დენგი (19), გორდონი (18), ჰაინრიხი (16 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), სონგაილა (16 ქულა, 10 მოხსნა) |
| **ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (35 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ჰოვარდი (30), ვესლი (17) |
| **დენვერი 113:83 იუტა** |
| **დენვერი:** ენტონი (31), მარტინი (16) |
| **იუტა:** ბრაუნი (23) |
| **ფინიქსი 106:93 ლეიკერსი** |
| **ფინიქსი:** მარიონი (22 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება), ჰაუსი (19), ბელი (18), ნეში (17 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა) |
| **ლეიკერსი:** ბრაიანტი (37), ოდომი (15 ქულა, 12 მოხსნა) |
| **კლიპერსი 81:101 დალასი** |
| **კლიპერსი:** კასელი (23), ბრენდი (19 ქულა, 10 მოხსნა) |
| **დალასი:** ნოვიცკი (26 ქულა, 11 მოხსნა), სტეკჰაუსი (14) |
| **გოლდენ სტეიტი 99:79 კლივლენდი** |
| **გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (22), დანლივი (22), ფიშერი (17), მერფი (16 ქულა, 11 მოხსნა) |
| **კლივლენდი:** გუდენი (16 ქულა, 10 მოხსნა), ჯეიმსი (14) |
| **სიეტლი 113:121 ტორონტო** |
| **სიეტლი:** ლუისი (25), ალენი (24), რიდნორი (17) |
| **ტორონტო:** ბოში (29 ქულა, 13 მოხსნა), როუზი (28), პიტერსონი (18) |
| **21 იანვარი** |
| **ნიუ ჯერსი 103:83 ბოსტონი** |
| **ნიუ ჯერსი:** კარტერი (25), კრსტიჩი (16) |
| **ბოსტონი:** პირსი (20) |
| **ორლანდო 83:78 საკრამენტო** |
| **ორლანდო:** თურქოღლუ (22), ჰოვარდი (19 ქულა, 15 მოხსნა), ფრენსისი (18) |
| **საკრამენტო:** ბიბი (17), მილერი (16 ქულა, 11 მოხსნა) |
| **ნიუ იორკი 98:109 ნიუ ორლეანი** |
| **ნიუ იორკი:** ფრაი (18), კროუფორდი (14) |
| **ნიუ ორლეანი:** პოლი (27 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა), ვესტი (19), მეისონი (16) |
| **ინდიანა 89:101 ჩიკაგო** |
| **ინდიანა:** ჯეკსონი (21) კროშერი (16) |
| **ჩიკაგო:** ნოჩიონი (20), ჰაინრიხი (16), ჩანდლერი (15 ქულა, 14 მოხსნა) |
| **მილუოკი 101:91 შარლოტი** |
| **მილუოკი:** რედი (35), ბოგუტი (15 ქულა, 10 მოხსნა), მალუა (13 ქულა, 22 მოხსნა) |
| **შარლოტი:** ბრეჟეცი (21 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსი (18), ნაითი (12 ქულა, 15 პასი) |
| **22 იანვარი** |
| **ფინიქსი 149:152 სიეტლი** |
| ძირითადი დრო 126:126 |
| **ფინიქსი:** მარიონი (37 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ბელი (31), ნეში (28 ქულა, 16 პასი, 8 მოხსნა), ბარბოსა (16) |
| **სიეტლი:** ალენი (42), რიდნორი (30 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), რადმანოვიჩი (22 ქულა, 10 მოხსნა), ლუისი (17) |
| **სან ანტონიო 85:89 დენვერი** |
| **სან ანტონიო:** მუჰამედი (17 ქულა, 12 მოხსნა), დანკანი (14 ქულა, 13 მოხსნა) |
| **დენვერი:** ენტონი (20), ბოიკინსი (19), მილერი (15 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა) |
| **მინესოტა 84:86 ფილადელფია** |
| **მინესოტა:** შჩერბიაკი (18), იარიჩი (15) |
| *ცქიტიშვილი* განაცხადში არ იყო |
| **ფილადელფია:** აივერსონი (39) |
| **ვაშინგტონი 82:93 მემფისი** |
| **ვაშინგტონი:** ჯემისონი (25 ქულა, 10 მოხსნა), არენასი (24 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი) |
| **მემფისი:** მილერი (30) |
| **კლიპერსი 105:92 გოლდენ სტეიტი** |
| **კლიპერსი:** მობლი (22), კასელი (21) |
| **გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (23), დევისი (22) |
| **მაიამი 119:99 საკრამენტო** |
| **მაიამი:** ონილი (27), ვეიდი (22), უილიამსი (19 ქულა, 11 პასი) |
| **საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (19) |
| **დეტროიტი 99:97 ჰიუსტონი** |
| **დეტროიტი:** ბილაფსი (24), ჰამილტონი (24) |
| **ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (43), ჰოვარდი (16 ქულა, 12 მოხსნა) |
| **პორტლენდი 89:95 დალასი** |
| **პორტლენდი:** რენდოლფი (23 ქულა, 11 მოხსნა), დიქსონი (20), ბლეიკი (20) |
| **დალასი:** სტეკჰაუსი (29), ნოვიცკი (23) |

# ლებრონ, შენ დაუკარ!

## იუტას ჯაზი, ვის რად უნდა

**21 იანვარი**

**იუტა 90:108 კლივლენდი**

**იუტა:** ოქური (20 ქულა, 13 მოხსნა), კირილენკო (19)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (51), მარშალი (24)

**ლებრონ ჯეიმსს** ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას წააწერეს შუბლზე, შენგან დიდი კალათბურთელი დადგებაო და ამ, მართლა, კალათბურთისთვის დაბადებულ ბიჭს, წამითაც არ დაუეჭვებია მისი თამაშის და ნიჭის დამნახავნი. 21 წლისა ამ დეკემბერს მოიყარა და ბიჭობისაც უკვე აღარაფერი ეტყობა, ჩაცმულობას თუ არ მივაქცევთ ყურადღებას. მოედანზე ის კაცია და ლიდერი. ამ ასაკში სხვები რომ თავიანთი ნიჭის გაბრწყინებას ელიან და თამაშს სკამზე ჯდომით და სხვათა ყურებით სწავლობენ, ეს ორფარს შუა დაფრინავს — ერთ ჯერზე 30 ქულის გაკეთება ჩვეულ საქმედ ექცა და მისგან აღარ 40 და 50-ქულიანი მატჩები უკვირს მხილველს.

შაბათს ლებრონმა 51 ქულა აძგერა „იუტა ჯაზს" და ტრავმებით გამოხშირულ „კლივლენდს", ზედიზედ 6 მარცხის შემდეგ, პირადად ჩაუწერა გამარჯვება. რის გამო გამოიდო სოლტ ლეიკ სიტიში ასე თავი, პატრულმა დედამისი რომ დააკავა ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან ჯდომის გამო, ვითომ ამის? დედის ცდომილების გამო საზოგადოების თვალში რეაბილიტირების სურვილს მაინც ნუ მივაწერთ „ვარსკვლავბიჭუნას" ვარსკვლავობას. ამ სეზონში ჯეიმსი მეორედ ასცდა 50-ქულიან თამასას, 10 დეკემბერს მან 52 ჩაუგდო „მილოუკის". ასე რომ...

ლებრონ ჯეიმსი ამ შეხვედრის შემდეგ ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, ვინც 5000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. აქამდე ეს მიღწევა კობი ბრაიანტს ეკუთვნოდა, რომელმაც 5000 ქულას 22 წლისამ უწია.



AFP

# ქართულ ლეგიონს კაცი დაუბრუნდა



მანუჩარ მარკოიშვილი

**გასულ** კვირაში ქართულ ლეგიონს დავით უგრეხელიძე შეემატა. „უგრეს“ საზღვარგარეთ თამაშის ხანგრძლივი სტაჟი კი აქვს, მაგრამ ამ სეზონის დაწყებამდე ისე გამოვიდა, რომ ვერც ერთ გუნდში ვერ მოეწყო და ფორმის შესანარჩუნებლად საქართველოს ჩემპიონატის ლიდერ „თსუ-ნიკორაში“ მოეწყო. ეროვნულ ჩემპიონატში თამაში დავითს დიდხანს არ დასცალდა. ის იმ გუნდმა მიიწვია, სადაც გასული სეზონი გაატარა და კონტრაქტიც მცირეოდენი შემოწმების შემდეგ დაიმსახურა.

„პივოვარნასთან“ ხელშეკრულება უგრეხელიძემ გასულ ოთხშაბათს გააფორმა და უკვე შაბათს მოედანზე გავიდა. ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში „მელუდეები“ თანამემამულე „ჰელიოსს“ შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში 2 ქულით დამარცხნენ.

ქართველმა ცენტრმა მოედანზე 5 წუთი დაყო და მთლიანობაში 2-2 ქულა-მოხსნა შეაწია თავისიანებს. „პივოვრნამ“ ამ მარცხით სატურნირო ვითარება უფრო გაიუარესა და 16 მატჩიდან მხოლოდ 2 გამარჯვებით ცხრილის ფსკერზეა დალექილი.

ადრიატიკის ლიგის მატჩი წააგო მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამაც“, ლიუბლიანელები ასევე შინ თამაშობდნენ სერბულ „ჰემოფარმთან“ და დრამატულ ფინალში 75:79 დამარცხდნენ. ახლახან გამოჯანმრთელებულმა ქართველმა უკანახაზელმა 12 წუთი ითამაშა და მოედანი მხოლოდ 4 ქულით დატოვა.

აი, ევროლიგაში კი იყოჩაღეს მარკოიშვილმა და მისმა გუნდელებმა. „ოლიმპიამ“ ლიუბლიანაში ფრანგული „სტრასბურგი“ მიიღო და იოლად, 82:68 დაამარცხა. მარკოიშვილმა 22 წუთში 10 ქულა მოიმკა, რასაც 2 მოხსნა და ერთი პასიც მიაყოლა. ოლიმპიელებმა იმარჯვეს, მაგრამ რად გინდა, ევროლიგის A ჯგუფში უიმედო აუტსაიდერები არიან.

თუ „ოლიმპიას“ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი თითქმის გადაწურული აქვს, ჯგუფიდან გასასვლელად იბრძვის ვლადიმერ ბოისას „სიენა“, რომელმაც გასულ ხუთშაბათს შინ უიმედოდ წააგო ესპანურ „უნიკახასთან“. ბოისასთვის ეს იყო ალბათ ყველაზე უხეირო მატჩი, რაც „სიენაში“ გადავიდა. მან 15 წუთის განმავლობაში თითო მოხსნა-პასი მიითვალა და მოედანი უქულოდ დატოვა.

სამაგიეროდ, ბოისამ იტალიის ჩემპიონატში იყოჩაღა და სიენელებს უპრინციპულესი მეტოქე დაამარცხებინა. ტრევიზოს „ბენეტონი“ სერია A-ში „სიენას“ მთავარი კონკურენტია ლიდერთა სამეულში დასამკვიდრებლად და ბოისამ სწორედ ამ გუნდთან მატჩში გამოიჩო თავი. საქართველოს ნაკრების ლიდერმა 25 წუთი ითამაშა და 15 ქულით თავისიანთა შორის ბომბარდირი გახდა.

მთლად ბომბარდირი არ გამხდარა, მაგრამ მოსკოვის „დინამოში“ მოხვეჭილი 10 ქულა დიდებული შედეგია 19 წლის გიორგი ცინცაძისთვის. მან ვარსკვლავებით გადაჭედილ მოსკოვურ გუნდში ხუთეული პირველად გასულ ოთხშაბათს დააჭაშნიკა, როცა ულების თასზე „დინამო“ გერმანულ „სკაილაინერზს“ შეერკინა. თუ ადრე გიო მხოლოდ რუსეთის თასზე, უსუსტესი გუნდების წინააღმდეგ თამაშობდა, ახლა მეტად პრინციპულ მეტოქესთან გამოჩნდა მოედანზე.

„ოპელ სკაილაენერსი“ გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. 3 წლის წინ ის გორდონ ჰერბერტის მეთაურობით ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა. სწორედ ამ გუნდს ჩაუგდო ცინცაძემ 10 ქულა, მოსკოველებმა კი არცთუ იოლად, 75:61 დაამარცხეს გერმანელები. ქართველმა გამთამაშებელმა 30 წუთი გაატარა მოედანზე და ათ ქულას 3 შედეგიანი გადაცემა და ერთი მოხსნაც მიაბა.

ამერიკიდან ცუდზე ცუდი ამბები მოდის ნიკოლოზ ცქიტიშვილთან დაკავშირებით. ბოლო ორი მატჩია, „ცქიტო“ „მინესოტას“ განაცხადიდანაც გაქრა, თუმცა მანამდე მისი იქ ყოფნა ბევრსაც არაფერს ნიშნავდა. „მინესოტა“ ისე ამარცხებდა ან მარცხდებოდა მეტოქეებთან, რომ ქართველი ფორვარდი სათადარიგო სკამიდან არც დგებოდა.

ზაზა ფაჩულიას კი ძველებურად ბლომად ათამაშებდნენ ატლანტელები გასულ კვირაში, თუმც ქართველი ცენტრი განსაკუთრებული შედეგიანობით არ გამორჩეულა. სამ მატჩში ზაზამ ჯამში 29 ქულა და 21 მოხსნა მიითვალა, რაც შედარებით დაბალი მაჩვენებელია მის ახალწლამდელ შედეგიანობასთან შედარებით.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | ევროლიგა<br>სერია A | უნიკახა<br>ბენეტონი | შ<br>შ | 70:82<br>75:66 | 15<br>25 | 0<br>15 | 1<br>6 | 1<br>0 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა<br>ესპანეთის ჩემპიონატი | პროკომი<br>კანარეა | შ<br>შ | 99:80<br>87:80 | 22<br>29 | 3<br>8 | 1<br>3 | 3<br>5 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | ჰემოფარმი<br>სტრასბურგი | შ<br>შ | 75:79<br>82:68 | 12<br>22 | 4<br>10 | 0<br>2 | 0<br>1 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ჰელიოსი | შ | 93:95 | 5 | 2 | 2 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | დინამო (მოს) | ულების თასი<br>სუპერლიგა (რუსეთი) | სკაილაინერსი<br>ლოკომოტივი | შ<br>ს | 75:61<br>79:73 | 30<br>არ უთამაშია | 10 | 1 | 3 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | ლიტვის პირველი ლიგა | მერესტა | შ | 98:103 | 11 | 3 | 1 | 0 |
| ლაშა გამყრელიძე | პანტერსი | ავსტრიის ბუნდესლიგა | არკადია | ს | 85:87 | არ უთამაშია | | | |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ | ჰიუსტონი<br>დეტროიტი<br>მილუოკი | შ<br>შ<br>ნ | 94:83<br>89:117<br>102:118 | 29<br>31<br>30 | 6<br>11<br>12 | 7<br>10<br>4 | 2<br>2<br>0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | მინესოტა | NBA რეგულარული ჩემპ | ნიუ იორკი<br>ინდიანა<br>ბოსტონი | ს<br>შ<br>ს | 96:90<br>90:85<br>96:103 | არ უთამაშია<br>განაცხადში არ იყო<br>განაცხადში არ იყო | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

# პირად-გუნდური სასჯელები

**საქართველოს** კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის დასრულების შემდეგ რამდენიმე მოთამაშესა და ერთ კლუბს დამსახურებული სასჯელი გამოუტანა.

„ავიამშენისა“ და სტუ-ს მატჩში ერთმანეთთან აგრესიულობის გამო პლასიდე როდუმტა და დავით მურჯიკნელი 200-200 დოლარითა და თითომატჩიანი დისკვალიფიკაციით დაჯარიმდნენ.

„თსუ-ნიკორასა“ და აზოტის მატჩის შემდეგ მსაჯისადმი აგრესიული ქცევის გამო სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი 1000 დოლარით დაჯარიმდა.

დაისაჯნენ თსუ-ს კონკრეტული მოთამაშეებიც: გიორგი მარჩვაშვილი და ბესიკ ლეჟავა თითო მატჩს გამოტოვებენ, ხოლო რაკი ამგვარი ჯარიმა დავით საყვარელიძისთვის მეორეა, ის 2 შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

სტუ-ელმა დავით მურჯიკნელმა უკვე მოიხადა დისკვალიფიკაცია. მან „აზოტთან“ მემორიალის ფინალური შეხვედრა გამოტოვა, ხოლო დანარჩენების სანქციები 27 იანვარს დაწყებ თასის გათამაშებაზეც გავრცელდება.



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
### პირველი ეტაპი. მონტე კარლო

ბიბლიოთეკა

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 4სთ; 11.43,9 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 1.1,8 |
| 3 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, პეჟო) | 1.23,1 |
| 4 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | 1.42,3 |
| 5 | სტეფან სარაზინი (საფრანგეთი, სუბარუ) | 3.20,2 |
| 6 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 5.02,4 |
| 7 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 6.19,5 |
| 8 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 7.15,2 |

**საერთო ჩათვლა**

1 მარკუს გრონჰოლმი — ტიმო რაუტიაინენი 10 ქულა; 2 სებასტიენ ლოები — დანიელ ელენა 8; 3 ტონი გარდმაისტერი — იაკე ჰონკანენი 6; 4 მანფრედ შტოლი — ლიკა მინორი 5; 5 სტეფან სარაზინი — სტეფან პრევო 4; 6 კრის ატკინსონი — გლენ მაკნილი 3; 7 მიკო ჰირვონენი — იარმო ლეჰტინენი 2; 8 დანიელ სორდო — მარკ მარტი 1

**კონსტრუქტორთა თასი**

BP-ფორდი 14 ქულა, კრონოს ტოტალ სიტროენი 11, OMV პეჟო ნორვეი 6, სუბარუ WRT 5, რედ ბულ შკოდა 3, სტობარტ VK ფორდი 0

# ახალი ფორდი ახალ ერას იწყებს

**მერალეთა** 28-ე მსოფლიოს ჩემპიონატი ხმაურიანი ცვლილებებით დაიწყო. ეს შეეხო როგორც მანქანების იერ-შეფერილობას, ასევე გუნდების შემადგენლობას. ქარავანს გამოაკლდა სამი, ეგრეთ წოდებული ქარხნული გუნდი — „სიტროენი“, „პეჟო“ და „მიცუბიში“.

ბოლო ორი ტიტულის მომგები სებასტიენ ლოები ახლა კერძო საჯინიბოს — „კრონოს ტოტალ სიტროენის“ ღირსებას იცავს. „პეჟოც“ გაკერძოებულია — „OMV პეჟო ნორვეი“. ერთი სიტყვით, მხოლოდ ორი „საფირმო“ გუნდიღა დარჩა — „ფორდი“ და „სუბარუ“.

ფორდელების სატიტულო დასახელებაში გენერალურ სპონსორ — „ბრიტიშ პეტროლიუმის“ აბრევიატურა გამოჩნდა, ბოლიდების შეფერილობაც შეიცვალა — თეთრს და ლურჯს მწვანეც დაემატა. შარშან თანაბრად ლურჯ-წითელი „სიტროენი“ კი თითქმის მთლიანად გალურჯდა — მხოლოდ ცხვირი დარჩა გაწითლებული.

მონტე კარლოს რალი, რომელიც 1911 წლიდან ტარდება, დღესაც ყველაზე რთულია სარალო კალენდარში. ეკიპაჟებს სისხამ დილიდან უხდებათ დათოვლილ და მოყინულ უვიწროეს მთიან გზებზე ჯახირი.

თავიდანვე მონაკოს სამგზის ჩემპიონი ლოები დაწინაურდა, მაგრამ მერე თვით მაესტრო სებიც შეცდა — არცთუ რთულ მოსახვევში მანქანა გზისპირა ხრამში გადაუცურდა. ლიდერობა ასევე ორგზის მსოფლიო ტრიუმფატორმა მარკუს გრონხოლმმა დაისაკუთრა, რაც 37 წლის ფინელმა ბოლომდე შეინარჩუნა და თავისი უახლესი „ფორდით“ პირველად შედგა მონაკოს პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე.

**გია ახალაძე**




AFP მონტე კარლოდან

გრონჰოლმმა გახსნის ეტაპი მოიგო

# დიდკაცების რისხვა

## ლევან ცაგურია ახალ წოდებას ელის

*სუმოს უმაღლეს დივიზიონ მაკუტის პირველმა ევროპელმა წევრმა ლევან ცაგურიამ ძლიერი მოჭიდავის სახელი იაპონიაში პირველივე ტურნირებიდან დაიგდო. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი უკვე მესამე წელიწადია, სუმოს ელიტაშია და სპეციალისტთაგან ძლიერ სეკიტორთა გამამწარებლადაც მოიხსენიება. ამაზე ახლახან დასრულებული კოკუგიკანური ბაშოც მეტყველებს — კოკაიმ რამდენიმე სახელიანი დიდკაცი გაამწარა*



**ბაშოს** პირველი სენსაცია უძლეველი იოკოძუნას, მონღოლი „ცისფერი დრაკონის" წაქცევა იყო. სასურველი შედეგი — დადებითი ბალანსი, ანუ კატიკოსი ქართველმა ბოლო, მეთხუთმეტე ტურშიღა გააჩერა და მარტის ბაშოსთვის წოდების მომატებას ელის.

— კატიკოსის შესრულება გვარიანი ნერვიულობის ფასად დამიჯდა — გვითხრა გუშინ კოკაიმ, ტოკიოში რომ შევეხმიანეთ — წესით, მიზნისთვის გაცილებით ადრე უნდა მიმეღწია, მაგრამ ბოლო ტურამდე გამეწელა.

**— რატომ გაგიჭირდა?**

— თავადაც არ ვიცი. მეათე ტურის შემდეგ ექვსი მოგება და ოთხი წაგება მქონდა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო. კატიკოსამდე ორი მოგებაღა მაკლდა, მაგრამ ზედიზედ სამი დღე არაფერი გამომივიდა. როგორც ჩანს, დადებით ბალანსზე ძალიან ადრე დავიწყე ფიქრი. მერე ნერვებსაც ავყევი და საქმე იქამდე მივიდა, ბოლო ორ დღეს წაგების უფლება აღარ მქონდა. ძალები მოვიკრიბე და, საბედნიეროდ, მიზანსაც მივაღწიე.

**— იანვრის ბაშოზე ცოტა უცნაურ შედეგებს აჩვენებდი. უგებდი სახელიანებს, ნაკლებტიტულიანებთან კი აგებდი...**

— ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ძლიერები სუფთად გეჭიდავებიან. უკან არ იხევენ და მარცხის შიშით არც გვერდზე ხტებიან. მსგავსი ხრიკებით მოგებას ჩვეულებრივ ქულა კი მოაქვს, მაგრამ მაყურებლები ნაკლებად აფასებენ. ხალხისთვის მთავარია, როგორ იჭიდავებ. ძლიერები სწორედ ხალხის სიყვარულისთვის გადიან სარბიელზე, ხოლო სუსტებს მხოლოდ გამარჯვებები ახსოვთ, ნებისმიერი ხრიკის ფასად. ამიტომაცაა, ძლიერებთან უფრო შედეგიანად რომ ვჭიდაობ, ვიდრე სუსტებთან. იოკოძუნას მოგების შემდეგ ისეთ სეკიტორთან დავმარცხდი, ვერაფრით რომ ვერ წარმოვიდგენდი. სწორედ ეშმაკობით მაჯობა.

**— ოცდამეერთე საუკუნის პირველ და ერთადერთ იოკოძუნას, მონღოლ ასასიორუს წლეულს პირველი მარცხი აწვნიე. ალბათ, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცეოდი...**

— იოკოძუნასთვის სულ სამჯერ მაქვს მოგებული. აქედან ორჯერ ოფიციალურ ბაშოებზე. ბოლო მარცხმა ყველაზე მეტად გაამწარა, ხალხმა კი ეს გამარჯვება განსაკუთრებულად დამიფასა. მათი ემოციების შემყურე უბედნიერესი ადამიანი ვიყავი.



კოკაი იოკოძუნა ასასიორუს ამარცხებს

**— შენთან წაგებით ასასიორუმ ლიდერობა დაკარგა, მერე კი იმპერატორის თასსაც დაემშვიდობა. რა იყო მისი დაღმასვლის მიზეზი?**

— პირველ რიგში ის, რომ ახალ წლებზე მონღოლეთში დაისვენა და ალბათ ზედმეტიც მოუვიდა. ვარჯიში აკლდა. ამას დაუმატეთ თავდაჯერებულობა, რომელიც ზედიზედ 7 თასის მოგებით გამოუმუშავდა და კიდევ ერთი — ჩემპიონთან ყველა განსაკუთრებული შემართებით ჭიდაობს. ჯამში იანვრის ბაშოზე ოთხჯერ წააგო, თუმც თასს რომ ვერ შეინარჩუნებდა, 2-3 მარცხის მერე მიხვდებოდა.

**— მონღოლის ბატონობა დასრულდა და იმპერატორის თასს იაპონელი დაეუფლა. ამას ალბათ დიდი ზეიმი მოჰყვებოდა...**

— დარბაზში ენით აუწერელი სიხარული სუფევდა. წარმოიდგინეთ, ამხელა ისტორიის მქონე სპორტში მასპინძელს რამდენი ხანი ვერ ეჩემპიონა. ტოჩიაძუმამ ასასიორუს რომ მოუგო და თასი მოიპოვა, ღია მანქანაში ჩასვეს და იმ კლუბამდე, რომელშიც იგი ვარჯიშობს, ფეხით მიაცილეს.

**— შენი აზრით, ამ მომენტისთვის ვინაა ყველაზე ძლიერი?**

— მაინც იოკოძუნა.

**— კატიკოსი შეასრულე და მალე წოდებაც მოგემატება. სავარაუდოდ მარტის ბაშოზე რა ტიტული გექნება?**

— ოფიციალური სია 27 თებერვალს გამოქვეყნდება. მანამდე მხოლოდ ვარაუდის დონეზე თუ გეტყვით. სულ მცირე, დასავლეთის პირველი მაეგაშირა ვიქნები. შეიძლება კომუსუბიც, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა. აი, ერთით მეტი რომ მომეგო, კომუსუბის წოდების რეალური შანსიც გამიჩნდებოდა.

**— არ იქნება, ქვედა დივიზიონებში მოჭიდავე შენს ძმაზე, გიორგიზე, და გაგა ჯულელზე არ გკითხო.**

— პროფესიულ სუმოში პირველ ნაბიჯებს დგამენ. ცხადია, ყველაზე დაბალი დივიზიონით დაიწყეს, მაგრამ ორივემ წარმატებული დებიუტი მოიწყო. გიორგიმაც და გაგამაც შვიდ შეხვედრაში შვიდი გამარჯვება მოიპოვეს და ერთი საფეხურით მაღლა აიწიეს. უმაღლეს დივიზიონამდე ჯერ კიდევ ოთხი საფეხური აცილებთ.

**— დაახლოებით რა დრო დასჭირდებათ უძლიერესებში ამოსასვლელად?**

— წელიწადში ექვსი ბაშო იმართება და თეორიულად წელსვე აქვთ ამის შანსი, მაგრამ, ჩემი აზრით, ორი წელიწადი მაინც დასჭირდებათ. ძალიან ნიჭიერები და პერსპექტიულები არიან. ახლა მთავარი გამოცდილების დაგროვებაა.

**— შემდეგ დიდ ბაშომდე ორი თვეა. თბილისში ჩამოსვლას ხომ არ გეგმავ?**

— მხოლოდ ერთკვირიანი დასვენება მაქვს, მერე კი სამარტო სამზადისს უნდა შევუდგე. გადავწყვიტე, 2-3 კვირით სხვა კლუბში გავიარო შეკრება. ეს აუცილებლად სასიკეთოდ წამადგება, საქართველოში კი, ალბათ, ივლისში ჩამოვალ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მსოფლიოს უმცროსები დაგვიფასა

## კლერმონ-ფერანში, როგორც საკუთარ სახლში

**საქართველოს** მორაგბეთა 20-წლამდელთა ნაკრები რაგბის მსოფლიო ფედერაციამ დიდად დააფასა და 9-25 ივნისს საფრანგეთში გასამართ მსოფლიოს თასზე ელიტარულ 12 გუნდში ჩასვა. ეს კი ნიშნავს, რომ ეროვნული ნაკრების სადონორო გუნდი პირდაპირ ითამაშებს მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე.

20-წლამდელთა მსოფლიო თასი კლერმონ-ფერანში გაიმართება და ფინალურ ეტაპზე სულ 12 ნაკრები ითამაშებს. როგორც ვთქვით, ჩვენები განთესილებში, ოღონდ ბოლო ნომრად მოხვდნენ, რაკი წინ მსოფლიო, რაგბის გრანდები ჩაუდგნენ.

კლერმონ-ფერანში ჩვენებისთვის შინაურული გარემოც უნდა იყოს. იმ ქალაქის ელიტარული სარაგბო კლუბია „ვულკანები", რომელშიც ბორჯღალოსანთა ორი ბურჯი, გოდერძი შველიძე და დავით ზირაქიშვილი თამაშობენ. შეგახსენებთ, რომ მანამდე ამ კლუბში ქართველთა გზამკვლევი ჩვენი ნაკრების კაპიტანყოფილი, ლევან ცაბაძე იყო, ვინც, ნაკრების მსგავსად, კლუბის მთავარი მიმწოლი ძალა იყო.

ორგანიზატორებმა 4 სამგუნდა ჯგუფი გააკეთეს. ჯგუფის გამარჯვებულები ნახევარფინალში ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენები ალბათ პლეიოფში ვერ გავლენ, რადგან, ორგანიზატორთა უცნაური სისტემის ვამო



დავით ჩავლეიშვილი

თავიანთ თანაჯგუფელებს კი არა, სხვა ჯგუფის მეტოქეებს ეთამაშებიან. მეტოქეებად კი თასის უპირველესი ფავორიტი სამხრეთ აფრიკა, ირლანდია და უელსი ჰყავთ.

რაკიღა ჩვენი 20-წლამდელთა ნაკრები ბორჯღალოსანთა მთავარი დონორია, თავკაცად დიდი ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილი დაუნიშნეს.

A **ჯგუფი:** *სამხრეთ აფრიკა (1 ნომრად არის განთესილი), უელსი (8), ირლანდია (9)*

B **ჯგუფი:** *ავსტრალია (2), ინგლისი (7), იტალია (10)*

C **ჯგუფი:** *ახალი ზელანდია (3), შოტლანდია (6), ოკეანეთი (11, სამოა ან ფიჯი ან ტონგა)*

D **ჯგუფი:** *საფრანგეთი (4), არგენტინა (5), საქართველო (12)*

C ჯგუფში გაურკვეველია ვინ ითამაშებს ოკეანეთიდან, რაკი იქ ჯერ არ დასრულებულა შესარჩევი ეტაპი და მსოფლიოს თასზე სამოას, ფიჯის და ტონგას შორის უკეთესი ითამაშებს. რომელიც არ უნდა იყოს, ტურნირზე მე-11 ნომრად იქნება განთესილი.

ჩვენი ნაკრების განრიგი ასეთია:

*9 ივნისი:* ***საქართველო — უელსი***

*13 ივნისი:* ***საქართველო — სამხრეთ აფრიკა***

*17 ივნისი:* ***საქართველო — ირლანდია***

ნახევარფინალები და ფინალი, შესაბამისად, 21 ივნისს და 25 ივნისს გაიმართება.

ავსტრალიის ღია პირველობა 2006

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

# მატჩი მშვენება

## ლამაზი ზღაპარი გრძელდება




მარტინა ჰინგისისთვის მელბურნის კორტები მართლაც იღბლიანია

AFP მელბურნიდან



როჯერ ფედერერმა ბევრი იწვალა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა

AFP მელბურნიდან

### მეოთხე წრე

კაცები

**როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, 1) — ტომი ჰაასი (გერმანია) — 6:4 6:0 3:6 4:6 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 5) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 12) — 4:6 4:6 6:4 6:2 6:3; **ნიკლას კიფერი** (გერმანია, 21) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) — 7:6 6:3 6:3; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი, 25) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — 7:5 6:2 6:2;

ქალები

**პატი შნიდერი** (შვეიცარია, 7) — ანასტასია მისკინა (რუსეთი, 12) — 6:2 6:1; **ამელი მორეზმო** (საფრანგეთი, 3) — ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი, 16) — 6:1 6:1; **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) — 6:1 7:6; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია, 2) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 15) — 7:6 6:4;

**ფედერერი** მაინც ფედერერია. იწვალა, ინერვიულა, გაირთულა ცხოვრება და კინაღამ მელბურნსაც დაემშვიდობა — ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ მესამე სეტში კონცენტრაცია დაკარგა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მაინც თავისი გაიტანა.

თუმც, ნურც ტომი ჰაასს დავუკარგავთ გარჯას. იმ თამაშით, რომელიც მან შვეიცარიელთან შეხვედრაში აჩვენა, ის, ალბათ, ნებისმიერს მოუგებდა, მაგრამ... ფედერერთან საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა.

ასე თუ ისე, მეოთხე წრის ამ შეხვედრას ნაადრევი ფინალიც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს. შარშან ასეთი რამ ნახევარფინალში მოხდა, როცა რეალურად მარატ საფინისა და ფედერერის მატჩში გაირკვა ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა, ვინაიდან ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ფინალში ლეიტონ ჰიუიტი ვერც ერთს და ვერც მეორეს რეალურ წინაალმდეგობას ვერ გაუწევდა.

იგივე შეიძლება ითქვას ამ მატჩზეც, ოღონდ, შარშანდელისგან განსხვავებით, ფედერერს ასეთი მატჩის ჩატარება უფრო ადრეულ ეტაპზე მოუხდა და ამჯერად მისი გამარჯვებით დასრულდა.

მატჩამდე ისედაც ჰაასს ასახელებდნენ იმ ერთადერთ მოთამაშედ, რომელსაც ახლანდელი ფორმიდან გამომდინარე, შვეიცარიელის დამარცხების ძალა შესწევდა. ასეც მოხდა, გერმანელმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართა ფედერერს და მოგებასთან არც ისე შორს იყო. კი, შვეიცარიელს შეეძლო ყველაფრის გაცილებით ადრე დამთავრება, როცა საწყისი ორი სეტი იოლად მოიგო და თითქოს იოლად უნდა გასულიყო ფონს, მაგრამ შვეიცარიელმა შეცდომებს უმატა, ჰაასმა კი ნამდვილი გერმანული ხასიათი გამოამჟღავნა. უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, მან შეძლო უპირატესობის მოპოვება და მომდევნო ორი სეტის მოგებით მდგომარეობა აბსოლუტურად გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტის დასაწყისისთვის უკვე ფედერერი იყო მეტად მძიმე ვითარებაში, მაგრამ, სწორედ, ამ რთულ მომენტში შვეიცარიელმა ყველას დაანახა, რატომ არის პირველი ჩოგანი — მან ნელ-ნელა გაათანაბრა თამაში, შემდეგ კი ბედმაც გაუღიმა, როცა ჰაასის მოწოდებაზე გადამწყვეტი სეტის მეექვსე გეიმზე მეტად საეჭვო მომენტში მსაჯებმა გერმანელს აუტი ჩაუთვალეს და ფედერერმაც, ფაქტობრივად, მომგები ბრეიკი გააკეთა. ამის შემდეგ ჰაასმა ველარ შეძლო კიდევ ერთი გმირობა — ამის არც დრო და არც ძალა აღარ შერჩა.

ასე რომ, ფედერერმა დიდი წვალების შედეგად შეძლო ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსვლა და ახლა, ძნელი სავარაუდოა, რამ ან ვინ უნდა შეუშალოს ხელი ტურნირის მოგებაში. ეს მატჩი კი უეჭველად ასპარეზობის უმთავრეს მშვენებად დარჩება.

ფედერერის მეტოქე მეოთხედფინალში რუსი ნიკოლაი დავიდენკო იქნება, რომელმაც ასევე ხუთ სეტში შეძლო დომინიკ ჰრბატის დამარცხება.

რაც შეეხება ბოლო მეოთხედფინალური წყვილს, იგი ნიკლას კიფერმა და სებასტიან გროჟანმა შეადგინეს.

ლამაზი ზღაპარი — მარტინა ჰინგისის დაბრუნება — კვლავაც გრძელდება. სამწლიანი შესვენების შემდეგ შვეიცარიელი ძალიან კარგად გამოიყურება და აგერ პირველივე სერიოზულ ტურნირზე მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა.

მარტინასთვის მელბურნის კორტები მართლაც რომ იღბლიანია. ის აქ ყოველთვის კარგად ასპარეზობდა და არც ამჯერად ღალატობს ამ მეტად სასიამოვნო ტრადიციას.

შვეიცარიელს ამჯერად ადგილობრივ გულშემატკივართა მთავარი იმედის და დღესდღეობით ნომერი პირველი ავსტრალიელი ქალი ჩოგბურთელის, ამანდა სტოსურის წინაალმდეგ თამაში უწევდა. მარტინამ კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ადვილად, ორ სეტში გაიმარჯვა, მაგრამ ამ შეხვედრაში მაინც კარგად გამოჩნდა, რომ ჰინგისს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო.

ჰინგისმა პირველი სეტი ძალიან კარგად ჩაატარა და მის მოგებას სულ რაღაც 23 წუთი მოანდომა. აი, მეორე სეტში კი უკვე გამოჩნდა, რომ სამწლიან შესვენებას უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია. მეორე პარტიაში მარტინას პირველი ჩაწოდება არ წაუვიდა და ამან ძალიან აანერვიულა, რის გამოც შეცდომების რაოდენობამაც იმატა.

გარდა ამისა, ისიც დავინახეთ, რომ შვეიცარიელი ჯერჯერობით არ არის ისეთ ფიზიკურ ფორმაში, რომ ხანგრძლივ გათამაშებებს იოლად გაუძლოს. მეორე სეტის შუაწელიდან, როგორც კი გათამაშება იწელებოდა, მაშინვე უპირატესობა სტოსურის მხარეს გადადიოდა და ჰინგისი აშკარად ვეღარ აკონტროლებდა მდგომარეობას. სწორედ ამიტომ იოლი გამარჯვების მაგივრად, როცა მარტინას 5-3 მიჰყავდა მეორე სეტში, შვეიცარიელმა ხელიდან გაუშვა მატჩის სადავეები და საბოლოოდ საკმაო წვალება და დიდი ენერგია დასჭირდა გასამარჯვებლად.

სტოსურმა შეძლო საქმის ტაიბრეიკამდე მიყვანა, სადაც ერთხანს წინაც იყო, მაგრამ ჰინგისმა მაინც შეძლო ძალების მოკრება და მატჩის მხოლოდ მეოთხე მატჩბოლიდან მოგება.

„მართლაც, ძნელი თამაში იყო... კარგად კი დავიწყე, მაგრამ მეორე სეტში ჩემი თამაში დავკარგე. საბედნიეროდ, მოგება მაინც მოვახერხე... ნამდვილად არ მეგონა, მეოთხედფინალამდე თუ მივაღწევდი და ეს რომ შევძელი, ძალიან მეამაყება“.. — თქვა ჰინგისმა.

შვეიცარიელს შემდეგ შეხვედრაში ნამდვილი გამოცდა ელის, ვინაიდან მისი მეტოქე ბელგიელი კიმ კლაისტერსი იქნება.

მეოთხედფინალურ შეხვედრას დასვენებული არც ბელგიელი შეხვდება. მან უფრო ძნელი ორთაბრძოლა გადაიტანა მშვენიერ ფორმაში მყოფ ფრანჩესკა სკიავონესთან. ორივე ჩოგბურთელი ყველა ბურთზე ბოლომდე იბრძოდა. განსაკუთრებით დაძაბული პირველი სეტი გამოვიდა, როცა ხანგრძლივი გათამაშებები ნორმად იქცა. მარტო მეხუთე გეიმი რად ღირს, როცა კლაისტერსმა 10 ბრეიკ პოინტი გააბათილა და მხოლოდ ამის შემდეგღა შეძლო მისი მოგება. ბელგიელი პირველ სეტში დაწინაურდა კიდეც, მაგრამ სკიავონემ შეძლო მდგმარეობის გათანაბრება და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. აქ თავიდან იტალიელი იყო წინ, ჯერ 4:1, მერე 5:3, მაგრამ კლაისტერსმა მაინც თავისი გაიტანა და დაწინაურდა.

მეორე სეტში ბელგიელმა მაინც გატეხა მეტოქე და შედარებით იოლად, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი წვალების შემდეგ, იმარჯვა:

„მასთან თამაში ყოველთვის ძნელია... როცა ტაიბრეიკზე ვაგებდი, ჩემს თავს ვუთხარი — ასე იოლად ნუ დანებდები-მეთქი, ბოლომდე ვიბრძოლე და შედეგსაც მივაღწიე“ — პირველად ამ ტურნირზე კლაისტერსს თავის ტრავმაზე არ უწუწუნია.

კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი ამელი მორეზომ და პატი შნიდერმა შეადგინეს, რომლებმაც ძალიან ადვილად დაძლიეს მეოთხე წრის ბარიერი და თავიანთ მეტოქეებს — ნიკოლ ვაიდიშოვას და ანასტასია მისკინას, შესაბამისად, არანაირი შანსი არ მისცეს.

**ბაჩა ლომაძე ვილი**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# რეინჯერსმა თვით ეშმაკებიც დაიბრიყვა

22 იანვარი

**რეინჯერსი 3:1 ნიუ ჯერსი**

*1:0 1:0 1:1*

1:0 პრუხა (13), 2:0 ნიულანდერი (36), 2:1 გომესი (47), 3:1 მური (60)

**„რეინჯერსი“** წლეულს სულ სხვა გუნდია. ამას ვგრძნობთ მაშინ, როცა ვხედავთ, როგორ ეხმარება დაცვას იარომირ იაგრი, როგორ თამაშობს გუნდი უმცირესობაში, ან როგორ უმკლავდება ის „ნიუ ჯერსის“, რომელთან შეხვედრებშიც ყველაზე კარგად ჩანდახოლმე მისი უსუსურობა. ახლა სწორედ „ეშმაკებთან“ გამოჩნდა, რომ ნიუიორკელები ძალიან შეიცვალნენ.

„ეშმაკებს“ წლეულს მატჩი არ წაუგია. ეს მასპინძლებმა აინუნშიც არ ჩაიგდეს და პირველი წუთებიდან ბოლომდე ბატონობდნენ ყინულზე. პირველ და მეორე პერიოდში თითო-თითო გოლის გატანის შემდეგ მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტმაც ივაჟკაცა, საბოლოო წერტილი კი მურიმ დასვა, როცა ცარიელ კარში შეაგდო.

„აშკარაა, რომ ეს სულ სხვა გუნდია, ნახეთ, რა ჟინით ცდილობენ, შური იძიონ“ — „ნიუ ჯერსის“ მეკარე მარტინ ბროდოსაც არ გამოეპარა მეტოქის განსაკუთრებული განწყობა.

**ჩიკაგო 2:3 მინესოტა**

*0:1 0:2 2:0*

0:1 უოლცი (3), 0:2 როლსტონი (22), 0:3 როლსტონი (37), 1:3 ბურკი (43), 2:3 ბელი (60)

**სამველ ლარიბიანი**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 48 | 29 | 11 | 8 | 169:149 | 66 |
| რეინჯერსი | 49 | 28 | 14 | 7 | 154:125 | 63 |
| ნიუ ჯერსი | 49 | 25 | 19 | 5 | 145:146 | 55 |
| აილენდერსი | 47 | 20 | 24 | 3 | 139:169 | 43 |
| პიტსბურგი | 48 | 11 | 28 | 9 | 131:191 | 31 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 46 | 32 | 10 | 4 | 195:109 | 68 |
| ბუფალო | 47 | 29 | 15 | 3 | 152:136 | 61 |
| ტორონტო | 47 | 24 | 20 | 3 | 149:155 | 51 |
| მონრეალი | 45 | 21 | 18 | 6 | 132:146 | 48 |
| ბოსტონი | 47 | 18 | 21 | 8 | 135:153 | 44 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 47 | 32 | 11 | 4 | 173:148 | 68 |
| ტამპა | 48 | 25 | 20 | 3 | 144:144 | 53 |
| ატლანტა | 49 | 23 | 20 | 6 | 175:171 | 52 |
| ფლორიდა | 49 | 18 | 24 | 7 | 125:155 | 43 |
| ვაშინგტონი | 46 | 17 | 24 | 5 | 135:175 | 39 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 47 | 32 | 12 | 3 | 176:123 | 67 |
| ნეშვილი | 47 | 29 | 12 | 6 | 154:137 | 64 |
| ჩიკაგო | 49 | 16 | 27 | 6 | 126:170 | 38 |
| კოლუმბუსი | 49 | 17 | 30 | 2 | 115:176 | 36 |
| სენტ ლუისი | 46 | 10 | 29 | 7 | 117:179 | 27 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 47 | 28 | 14 | 5 | 127:117 | 61 |
| ვანკუვერი | 48 | 28 | 15 | 5 | 164:144 | 61 |
| კოლორადო | 49 | 27 | 19 | 3 | 181:157 | 57 |
| ედმონტონი | 48 | 25 | 17 | 6 | 157:150 | 56 |
| მინესოტა | 48 | 23 | 21 | 4 | 136:123 | 50 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 47 | 30 | 15 | 2 | 154:127 | 62 |
| ლოს ანჯელესი | 50 | 29 | 18 | 3 | 174:156 | 61 |
| ანაჰაიმი | 46 | 21 | 16 | 9 | 132:128 | 51 |
| სან ხოსე | 45 | 22 | 17 | 6 | 142:138 | 50 |
| ფინიქსი | 48 | 24 | 22 | 2 | 138:149 | 50 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*



AFP მელბურნიდან



# უცხო თასი

მსოფლიოს თასი მოგზაურობს. ის ახლა სან პაულუშია, სადაც მსოფლიოს ჩემპიონობა არ უკვირთ. თუმცა ამ ბიჭუნამ ჯერ არ იცის, რომ მისი სამშობლოსთვის ეს თასი უცხო არ არის. სანამ ფეხბურთის მსოფლიოს თასი გახურდება, მთავარი ჯილდო 28 ქვეყნის 31 ქალაქს მოივლის. შემდეგი გაჩერება არგენტინული მარ დელ პლატაა.



AFP სან პაულუდან

# ჩოგბურთის სახეები

მელბურნში მიმდინარე ავსტრალიის ღია პირველობაზე საქმე მხოლოდ ჩოგნის მარჯვედ ქნევას არ ეხება. აქ დიდი პრომოა გახურებული და ნახეთ, როგორ ამზადებენ ჩოგბურთის ვარსკვლავებს: მარია შარაპოვას, ანა ივანოვიჩს და ამელი მორესმოს.



AFP მელბურნიდან



AFP ტურინიდან

# გერმანული გასროლა

ანდრეა ჰენკელი მეორე ადგილს დასჯერდა 12,5 კილომეტრიან საბიატლონო ჭიდილში ანტერსელვაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე. თუმცა, პირველიცა და მესამეც ამ შეჯიბრში მისი თანამემამულენი, მარტინა გლაგო და უში დისლი იყვნენ. თქვენ კი უყურეთ ჰაერში გამეშებულ კვამლს და მასრას.




AFP ანტერსელვადან

# ზამთრის გერმანია

ვილი ბოგნერი ახლა განთქმული დიზაინერია, ადრე კი თხილამურების ჩემპიონი იყო. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ გერმანიის ზამთრის ოლიმპიურ გუნდს სწორედ ის მოსავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

# სარბიელი და კროკი
## წარმოგიდგენთ
## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 2 | პლიმუთი-ლესტერი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 3 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 4 | ბლეკპული-დონკასტერი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 17 | სტოკპორტი-გრიმსბი | 3.60 | 3.10 | 2.00 | 1.66 | 1.28 | 1.21 |
| 23:45 | 18 | ტორკი-როჩდეილი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 697 | ნოტსი-ნორთჰემპტონი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 23:45 | 698 | მენსფილდი-ჩესტერი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **ინგლისი. .კონფერენსი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 31 | ალდერშოტი-კონვი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:45 | 32 | ბარტონი-ჰალიფაქსი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 23:45 | 33 | დაგ ენდ რედი-ქროული | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:45 | 34 | ფორესტ გრინი-ტემუორთი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:45 | 35 | გრეივსენდი-გრეისი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 23:45 | 37 | მორიკომბი-სკარბორო | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 38 | სტივენეიჯი-უოკინგი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 39 | იორკი-საუთპორტი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 75 | ლადბახი-ბაიერნი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 18:30 | 77 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 18:30 | 78 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:30 | 79 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:30 | 80 | მაინცი-კიოლნი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 18:30 | 81 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 3.30 | 3.30 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |
| 18:30 | 83 | შტუტგარტი-დუისბურგი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 20:30 | 84 | არმინია-ვერდერი | 3.80 | 3.30 | 1.90 | 1.76 | 1.26 | 1.20 |
| 20:30 | 86 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 3.40 | 3.30 | 2.00 | 1.67 | 1.25 | 1.24 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 710 | ზიგენი-კარლსრუე | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 711 | დინამო-ფიურტი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 104 | მილანი-სამპდორია | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 21:00 | 106 | პალერმო-სიენა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 97 | ასკოლი-იუვენტუსი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 18:00 | 99 | კიევო-რეჯინა | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 18:00 | 100 | ემპოლი-პარმა | 2.15 | 3.00 | 3.35 | 1.25 | 1.30 | 1.58 |
| 23:30 | 101 | ლეჩე-ინტერი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 18:00 | 103 | მესინა-კალიარი | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 18:00 | 107 | რომა-ლივორნო | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 108 | ტრევიზო-ლაციო | 3.30 | 2.90 | 2.25 | 1.54 | 1.33 | 1.26 |
| 18:00 | 109 | უდინეზე-ფიორენტინა | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| | | **ფეხბურთი.აფრიკის თასი 2006.ეგვიპტე** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 19:15 | 701 | ლიბია-კოტ დიუარი | 8.50 | 4.30 | 1.30 | 2.85 | 1.12 | 1.00 |
| 22:00 | 702 | ეგვიპტე-მაროკო | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 311 | ბაიერნი-მაინცი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 312 | არმინია-ოფენბახი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:00 | 313 | მიუნხენი 1860-აინტრახტი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 23:30 | 314 | ზტ.პაული-ვერდერი | 7.00 | 3.80 | 1.45 | 2.46 | 1.20 | 1.04 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 315 | არსენალი-უიგანი | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 316 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 699 | დანფერმლაინი-ლივინგსტონი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 321 | ესპანიოლი-კადისი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 23:00 | 322 | რეალი-ბეტისი | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| 23:45 | 323 | ვალენსია-დეპორტივო | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 700 | სარაგოსა-ბარსელონა | 4.80 | 3.40 | 1.70 | 1.99 | 1.25 | 1.13 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11701 | ლიბია-კოტ დიუარი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.60 |
| 11702 | ეგვიპტე-მაროკო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო). (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12701 | ლიბია-კოტ დიუარი | 1.90 | 1.70 |
| 12702 | ეგვიპტე-მაროკო | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13701 | ლიბია-კოტ დიუარი | 1.90 | 1.70 |
| 13702 | ეგვიპტე-მაროკო | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14701 | ლიბია-კოტ დიუარი | 2.80 | 1.12 |
| 14702 | ეგვიპტე-მაროკო | 1.35 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15701 | ლიბია-კოტ დიუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15702 | ეგვიპტე-მაროკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16701 | ლიბია-კოტ დიუარი | 4.40 | 1.10 |
| 16702 | ეგვიპტე-მაროკო | 1.30 | 2.60 |

### გოლი:წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17701 | ლიბია-კოტ დიუარი | 1.85 | 1.95 |
| 17702 | ეგვიპტე-მაროკო | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**